საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 11 თებერვალი. 2020 წ. №24 (8950) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ოხ-ოხ-ოხ-ო!

მიშუტკა ომში მიდის,

5

ანუ ახალი კვირტი ბოროტების ხეზე

რევოლუცია,

რომელიც ნაგავს „ბინძური ცოცხით“ გახვეტს

3

საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის 66 პროცენტი ვალით ცხოვრობს!

4

დონალდ ტრამპი: გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველაზე დიდი თაღლითობაა მედიცინის ისტორიაში

9

გახარიამ ალიევს გამარჯვება მიულოცა

როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტის პრესსამსახური იტყობინება, გიორგი გახარიამ აზერბაიჯანის ლიდერს ტელეფონით ესაუბრა და ილჰამ ალიევს არჩევნებში მმართველი პარტიის „იენი აზერბაიჯანის“ („ახალი აზერბაიჯანი“) გამარჯვება მიულოცა, ასევე ახალი მოწვევის პარლამენტს წარმატება უსურვა.

ამას გარდა, საქართველოს პრემიერმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებას გაუსვეს ხაზი და ორმხრივი ურთიერთობების გაგრძელების მხარდაჭერა დაადასტურეს.

ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრ მიხეილ ჯაბაროვს შეხვდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის მთავარი თემა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის დადებითი დინამიკა და ორი ქვეყნის სტრატეგიული მეგობრობის ძირითადი მიმართულებები იყო. აღინიშნა, რომ ქვეყნებს შორის სწრაფად ვითარდება ვაჭრობა და ორმხრივი ინვესტიციები, ასევე თანამშრომლობა ენერგეტიკული დერეფნების მიმართულებით, ლოგისტიკისა და ტრანსპორტის სფეროში.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ხაზი გაესვა სტრატეგიული მეგობრობის მნიშვნელობას და ორ სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთგაგების მაღალ დონეს, რაც ორმხრივი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. ასევე აღინიშნა, რომ წარმატებული ეკონომიკური ურთიერთობები გაგრძელდება, რამდენადაც ტრანსპორტის, ტრანზიტის, ლოგისტიკის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის სფეროებში ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელება იგეგმება.

საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრის საქართველოში ვიზიტი დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შეხვედრის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელზეც მხარეებმა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

გიგი უგულავას სამ წელიწადზე მეტი მიუსაჯეს!

საქართველოს უზენაესი სასამართლო თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე თბილისის ყოფილ მერს, „ევროპული საქართველოს“ წევრს გიგი უგულავას სამი წლით, ორი თვითა და რვა დღით თავისუფლების აღკვეთა დააკისრა.

* * *

უფალო მოსამართლენო!

48 მილიონი ლარის გაფლანგვა მეტ სასჯელს არ იმსახურებს?!.

არჩილ თალაკვაძე ადამ კინზინგერს მადლობას უხდის

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეს, კონგრესმენს, რესპუბლიკელ ადამ კინზინგერს მადლობას უხდის. ამის შესახებ თალაკვაძემ Facebook-ზე დაწერა.

„კონგრესმენო კინზინგერ, მეც მოხარული ვარ თქვენთან გამართული შეხვედრით ვაშინგტონში, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი თემა განვიხილეთ.

ძალიან ვაფასებ თქვენს მხარდაჭერას ჩემი ქვეყნისადმი. დარწმუნებული ვარ, თქვენი — როგორც საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარის ლიდერობით, ორმხრივი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს №1 სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარია და თქვენთან მხარდამხარ განვაგრძობთ ჩვენი წვლილის შეტანას მსოფლიოში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების განმტკიცების საქმეში.

ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ჩვენი ხელისუფლება აგრძელებს მუშაობას დადებითი შედეგების მისაღწევად“, — წერს არჩილ თალაკვაძე.

აუცილებელია საპროტესტო აქციებმა შეინარჩუნოს მშვიდობიანი ფორმა

დემოკრატია არაა ადვილი და იმ დროს, როცა საპროტესტო აქციები თავისუფალ ქვეყანაში ნორმალურია, აუცილებელია, მან შეინარჩუნოს მშვიდობიანი ფორმა, — ამის შესახებ Twitter-ზე აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე, კონგრესმენი, რესპუბლიკელი ადამ კინზინგერი წერს.

„მონაწილეობა მივიღე დიალოგში სხვადასხვა მხარესთან, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველოს პოლიტიკურ კრიზისში. იმ დროს, როდესაც პროგრესს მივაღწიეთ, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ გადაუჭრელი განსხვავებები მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის გაგრძელდება. დემოკრატია არაა ადვილი და როცა საპროტესტო აქციები თავისუფალ ქვეყანაში ნორმალურია, აუცილებელია მან შეინარჩუნოს მშვიდობიანი ფორმა“, — წერს კინზინგერი.

მისივე თქმით, აუცილებელია საქართველოში ყველა ჩართული პარტია კომპრომისზე წავიდეს, რათა ქვეყანამ მიაღწიოს დემოკრატიას და თავისუფლებას, რომლისკენაც ის ისწრაფვის. **„როგორც წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე, საქართველო-ამერიკის ძლიერი და მტკიცე ურთიერთობის ერთგული ვრჩები“,** — წერს ადამ კინზინგერი.

ირაკლი კობახიძე: ადრე ნაცების მხილება „პოლიტიკურად არასწორი“ იქნებოდა

— ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ გადაცემა „კვირის თემაში“ სტუმრობის დროს განაცხადა. ირაკლი კობახიძის თქმით, მმართველმა პარტიამ „ნაციონალურ მოძრაობას“ „რაღაც თვალსაზრისით ხელი გაუწოდა, თუმცა პასუხად მიიღო დედის გინება“.

„ყველა შემთხვევაში მოხდება ამ პოლიტიკური ძალის მხილება. რეალურად, რაღაც თვალსაზრისით, ჩვენ ხელი გავუწოდეთ ამ პოლიტიკურ ძალას. ეს ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო. 2017 წელი, 2018-ის პირველი ნახევარი — ყველანაირად ვცდილობდით თანამშრომლობას, რა ფარგლებშიც ეს აუცილებელი იყო. მაგალითად, საპარლამენტო ცხოვრების ჯანსაღად წარსამართად. თუმცა პასუხად მივიღეთ დედის გინება.

ისინი არ შეცვლილან, მათი ნატურა არ შეცვლილა“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძის თქმით, ძველ დანაშაულებში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხილება ადრე „პოლიტიკურად არასწორი იყო“.

„ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, იმას დანაშაული აუცილებლად უნდა შევახსენოთ. დანაშაულების გარდა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მათი 9-წლიანი საქმიანობა სიცრუეზე იყო აგებული და მათი ოპოზიციური საქმიანობაც მთლიანად სიყალბეზეა აგებული. ამას ყოველდღიური მხილება სჭირდება. იმ დონეზე ვამხელთ ამდენ სიცრუეს, რომელზეც დგას და ერთადერთი ინსტრუმენტი და საყრდენია ეს მათი, რომ საერთოდ გაქრებიან 2024 წლისთვის პოლიტიკური სივრციდან. ეს მიღწევადია. ჩვენი პოლიტიკა მიმართული იქნება, რომ 2020-დან 2024-მდე გაქრეს „ნაცმოძრაობა“.

გია ვოლსკი: ოპოზიცია ულტიმატუმის ენით გვესაუბრება...

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის შეფასებით, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, ოპოზიცია ხელისუფლებას ულტიმატუმის ენით ესაუბრება.

მისივე თქმით, მმართველი პარტიის შეთავაზება გამომდინარეობს არა „ქართული ოცნების“ პირადი სურვილისგან, არამედ ის ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის გარანტიების შექმნას ემსახურება.

„გარკვეულწილად, ულტიმატუმის ენით გვესაუბრებიან. თუ ჩვენ შეთავაზებას ვაკეთებთ, ეს იმისგან არ გამომდინარეობს, რა უნდა „ქართულ ოცნებას“. ეს იმ მოთხოვნიდან გამომდინარეობს, რასაც ჰქვია ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის გარანტიების შექმნა.

საერთაშორისო გამოცდილებიდან აღებული გვაქვს არაერთი მაგალითი. ასეთი პოლიტიკური გარიგება-ვაჭრობა არ არის ის თემა, რომელიც უნდა იხილებოდეს. სანამ არ დავსხდებით და ამ საკითხებს არ განვიხილავთ, არც მე და არც ჩემს კოლეგებს უფლებამოსილება არ გვაქვს, საკითხზე ჩვენი პირადი შეხედულებით ვიმსჯელოთ“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

მაია ცქიტიშვილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, **მხარეებმა სამინისტროს ბიუჯეტის გასული წლის შესრულებასა და მიმდინარე წლის მონაცემებზე ისაუბრეს. IMF-ის მისიამ პოზიტიურად შეაფასა ფინანსური რესურსის ათვისების 2019 წლის მაჩვენებლები, რაც წინა წლების მონაცემებთან შედარებით რეკორდულია. 2019 წელს სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება 2 121.2 მილიონი ლარი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის ნახევარი მილიარდი ლარით მეტია.**

მაია ცქიტიშვილმა სტუმრებს მიმდინარე წლის შესრულებაც გააცნო. 2020 წლის იანვარში სამინისტროს მიერ უკვე ათვისებულია 88 მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 31 მილიონი ლარით მეტია.

ნათია თურნავა აზერბაიჯანელ კოლეგას შეხვდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრს მიქაილ ჯაბაროვს შეხვდა, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მინისტრებმა და მათმა თანმხლებმა პირებმა ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები განიხილეს, ყურადღება გამახვილდა პრიორიტეტულ მიმართულებებზე — ორმხრივი ვაჭრობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ინვესტიციები, ტურიზმი და სხვა.

„დღეს, როგორც არასდროს, საქართველო-აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან მაღალ დონეზეა. აზერბაიჯანი ტრადიციულად ლიდერობს ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში. ჩვენ ვახორციელებთ ბევრ ერთობლივ ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და ბიზნესპროექტს. დღეს საქართველოში აზერბაიჯანული კაპიტალით 700-ზე მეტი კომპანია საქმიანობს და ძალიან კარგი პირობებია შექმნილი როგორც ერთობლივი ბიზნეს-საქმიანობისთვის, ასევე აზერბაიჯანული ბიზნესისთვის საქართველოში“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ნათია თურნავას განცხადებით, მხარეებმა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო კორიდორის საერთაშორისო აღიარებისა და განვითარების შესახებ თანამშრომლობის საკითხიც განიხილეს.

2014 წლის იანვრამდე დაფუძნებულ ან რეორგანიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საქმიანობის უფლება 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე ექნებათ

განათლების სამინისტროს მიერ 2014 წლის პირველ იანვრამდე დაფუძნებულ / რეორგანიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება ექნებათ, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელონ და დაფინანსება მიიღონ.

შესაბამისი ცვლილებები „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შედის, რომლის ინიციატორი მთავრობაა. ცვლილებების ინიცირება ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მოხდება.

კანონპროექტით განისაზღვრება ისიც, რომ 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ეტაპობრივი ავტორიზაცია.

მთავრობა განმარტავს, რომ დღეს მოქმედი კანონით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება აქვთ, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელონ. შესაბამისად, ცვლილებებით ამ ვადის გაგრძელება იგეგმება.

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲒᲐᲕᲡ „ᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘ ᲪᲝᲪᲮᲘᲗ“ ᲒᲐᲮᲕᲔᲢᲡ

„ᲔᲡ ერთი ჯგუფია, რომელსაც ასევე ერთადერთი მიზანი აქვს — დაიბრუნოს ხელისუფლება! ადგილობრივ სივრცეში ამ ორგანიზაციების 99%-ის ხელმძღვანელი პირი ნაცმოძრაობის ხელისუფლების ექსჩინოსანია, რომელიც ამჟამად ან სააკაშვილის, ან ბოკერიას პარტიას, ან ორივეს ერთად „ქაჩავს“ და აქ მათ ხელში ყველაზე ნაცადი იარაღი არასასურველი ოპონენტების სახელის გატეხაა.

მეგობრებო, თუ ეს მარტივი სინამდვილე დღეს აღმოაჩინეთ, გილოცავთ, ერთი ნაბიჯით წინ ხართ!“

წერილი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ირმა ინაშვილის ფეისბუქ-პოსტით დავიწყე. დავიწყე იმიტომ, რომ ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ყველას ნათლად დაგვანახა, რომ ნაციონალური მოძრაობა, მისი თანამდევი არასამთავრობო ორგანიზაციები, ერთკაციანი „პოლიტიკური ძალები“ და მედიის გარკვეული ნაწილი, მაქსიმალურად ცდილობენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ რევანშის აღებას. რევანშის აღებას იმ მკაფიო **არა**-ს გამო, რასაც ხალხი მათ ყოველდღიურად ეუბნება.

მათი „არსენალი“ ძალიან მწირია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს თავადაც კარგად იციან, მაგრამ ხელისუფლების დაბრუნებისკენ მათი მანიაკური სწრაფვა იმდენად გამჯდარი აქვთ გონებაში, რომ თავს, ფაქტობრივად, ვეღარ აკონტროლებენ და ისეთ ქმედებებსა და განცხადებებს აკეთებენ, რაც კიდევ უფრო ძირავს იმ ჭაობში, რაშიც უკვე კარგა ხანია, ყურყუმალაობენ...

სხვადასხვა მაქინაციების საშუალებით გაგზავნილი „დანოსები“, რომლებითაც ისინი ცდილობდნენ, ნორმალურ დასავლურ სივრცეში შეექმნათ საქართველოში არსებული მდგომარეობის აპოკალიფსური სურათი, აშშ-ში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტმა ბოლომდე გააქარწყლა, ხოლო ეუთო (ოდირის) წერილმა კი საერთოდ ცივი წყალი გადაასხა მარაზმში გადავარდნილ რევანშისტებს.

„ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ **მქონდა ნაყოფიერი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, რა დროსაც ჩვენ ერთად დავადასტურეთ აშშ-საქართველოს ურთიერთობებში ჩვენი საერთო მიზნები. მე მადლობას მოვახსენებ პარლამენტის თავმჯდომარე თალაკვაძეს ვიზიტისთვის ჩვენი ალიანსის მნიშვნელობის განხილვის მიზნით და ვაფასებ ჩვენს მეგობრობას.**

* * *

ᲩᲔᲛᲘᲗᲕᲘᲡ **ცხადია, რომ მომავალში ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის დარჩება გადაუჭრელი განსხვავებები (უთანხმოება). დემოკრატია იოლი არ გახლავთ; მართალია, პროტესტი ნორმალური მოვლენაა თავისუფალ ქვეყანაში, მაგრამ აუცილებელია, რომ იგი მშვიდობიანი იყოს“,** — კონგრესმენი ადამ კიზინგერი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძესთან გამართულ შეხვედრას ეხმაურება, ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ თალაკვაძის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში რომ გაიმართა.

ამ ყველაფრის პარალელურად მათი ბელადის მხრიდან ყოველდღიურად ისმის სრულიად აბსურდული, იდიოტური განცხადებები და ლოზუნგები, რაც სხვა შემთხვევაში ნამდვილად სასაცილო იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში კიდევ არიან ამ მანიაკის მომხრეები, რომლებიც ფანატიკოსის აღგზნებით მზად არიან, შეასრულონ ყველაზე საშინელი ბრძანებაც კი.

ამ რამდენიმე დღის წინ დაწერა პატარა ბავშვმა ნახატი, გამომიგზავნა წარწერით — **„ცაქალთველოში უნდა გათენდესო“!**

ამ რეგვენმა პოლიგლოტმა ისიც არ იცის, რომ ბავშვები ენას მხოლოდ საუბრის დროს უჩლექენ. წერით კი ისე წერენ, როგორც გამოითქმის...

„პირველი მარტიდან „სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის“ ბაზაზე ვხსნი ჩემს შტაბს, პირად შტაბს, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად და სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად, ახალ ხალხთან ერთად, რომელიც მოდის პარტიების გარეშე, შევქმნათ კიდევ მეტი საფუძველი და დავაჩქაროთ ივანიშვილის რეჟიმის დასასრული და საქართველოს გადარჩენა“, „ხუთოსანი ვიყავი, მაგრამ ძველ ბიჭებს თავს არ ვაჩაგრინებდი“.

„ჩემთან დაკავშირებულია ერთადერთი წარმატებული სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორია მთელს მართლმადიდებელ სამყაროში“.

და სხვა მრავალი სისულელე, რასაც ის ყოველდღე ისვრის ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერიდან.

მინდა, ერთი მოკლე ფეისბუქ-პოსტით ვუპასუხო ამ დასაბმელ გიჟს: **მიჩავ, ბიბლიოთეკაში წიგნები უნდა წაიკითხო, რევკომი (რევოლუციური კომიტეტი) კი კრეისერ „ავრორაზე“ გახსნა. ჩემი თუ არ გჯერა, ლევანა ბერძენიშვილს ჰკითხე.**

რაც შეეხება მათს ე.წ. „ინტელექტუალურ“ ძალას, ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებსა და არასამთავრობო სექტორს, მათაც კარგად დაგვანახეს ის სიბოროტე და ბოღმა, რაც მათშია ჩაბუდებული.

მათი „განცხადებები“ გარდაცვლილ ადამიანებზე, ცინიზმითა და სიძულვილით არის გაჟღენთილი.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲝ. ᲔᲠᲗ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲙᲘ ᲕᲪᲓᲔᲑᲘ — ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲑ ᲘᲛ ᲑᲝᲦᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲫᲕᲗ ᲡᲣᲚᲨᲘ.

ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘ ᲘᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲦᲡᲐᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

ყველას განგვიცდია წყენა, სიბრაზე, იმედგაცრუება, მაგრამ ის ჩვენი ერთჯერადი გულისწყვეტა არ გაგვიზოგადებია. ვიღაცაზე გაბრაზებულს, ჩვენი განწყობა ქვეყნის, წარსულის, რწმენისა და მომავლის წინააღმდეგ არ მიგვიმართავს. გასაკეთებელს ისე ვაკეთებდით, როგორც უნდა გაგვეკეთებინა და რაღაცებს არ მივედ-მოვედებოდით.

ამათ რა სჭირთ, რა ბოღმა, სიძულვილი და სიბოროტე ჩაუბუდდათ სულში!

კარგად დააკვირდით ამ „ლევანაბერძენიშვილებს“, არასამთავრობო ტიპებს, ყველანი იმ ბოროტ გნომებს (ჯუჯებს) ჰგვანან, რომლებიც მუდამ საზიზღრობის ჩადენას ცდილობენ და ღიმილშიც ცინიზმი, ისევ და ისევ ბოღმა, ზიზღი და სიძულვილი აქვთ. ვითომდა წიგნებს კითხულობენ, ვითომდა იღვწიან, ვითომდა ზრუნავენ და იბრძვიან, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ „ვითომდა“. ყველაფერი ყალბია. მათ ქვეყანაზე არაფერი უხარიათ, არასდროს გაიცინებენ და გულით არ (ან ვერ) იტირებენ.

ლოკოკინებივით სხედან თავიანთ ნაჭუჭში, ირგვლივ საზიზღარ ლორწოს აფრქვევენ და ცდილობენ, ყველაზე მთავარი — ის რაც გვიყვარს, გვწამს და გვჯერა, დასვარონ, გათხვარონ, თავიანთი ბინძური სარსალა ენით დააზიანონ, შეურაცხყოფა მიაყენონ უბადლო სპორტსმენს ლაშა ტალახაძეს და მეოცე საუკუნის სილამაზის სიმბოლოდ ქცეულ, ახლახან გარდაცვლილ ლალი ბადურაშვილს.

რატომ არიან ასეთები, არ ვიცი. არა მგონია ფული, ან კარიერა იყოს მიზეზი, რადგანაც ვერ წარმომიდგენია, რაში სჭირდებათ. ისინი ხომ იმდენად მდაბიონი არიან, რომ არაფერს იშენებენ, შედევრებს არ იყიდიან, არ „იგულავებენ“, გაჭირვებულს არ მისცემენ, არ დახარჯავენ. კარიერაც არ უნდათ. იციან, რომ ვერაფერს ღირსეულს ვერ გააკეთებენ და იმ თბილი, ლორწოვანი ნაჭუჭიდან გამოსვლა „უტყდებათ“.

ეს ნამდვილად არ მესმის და, ალბათ, ვერასდროს გავიგებ.

ᲑᲝᲦᲛᲐ, ᲨᲣᲠᲘ, ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲝᲑᲐ — ᲔᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲢᲘᲕᲢᲘᲕᲓᲐ ᲘᲛ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲛᲓᲒᲐᲠᲛᲐ ᲚᲣᲖᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲮᲕᲘᲔᲡ.

უჯიშო, უსქესო, ურწმუნო, სულით მდაბიო და გაუნათლებელი ხალხის შინაგანი კომპლექსების გადმონთხევას ფაქტობრივად ყოველდღე ვუყურებთ და საუბედუროდ წინააღმდეგობის გაწევა არ შეგვიძლია.

ლუზერები, ჩვეულებრივი ლუზერები, იმდენად არარეალიზებულნი, რომ ლუზერების კონკურსშიც მეორე ადგილს დაიკავებდნენ, რადგანაც ლუზერები არიან, უაზრო ეპატაჟებით — ეკლესიისა და ტრადიციების ლანძღვა, ნამდვილად პატივსაცემი ადამიანების განქიქება, მარაზმში გადასული პერფორმანსები და მრავალი სხვა გამოხტომა, რომლითაც ისინი ნორმალური ადამიანების ინტელექტს შეურაცხყოფენ, ფართოდ შუქდება მედიის საშუალებით. მედიის, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ თეთრზე თეთრი თქვას და შავზე — შავი, თავად ხდება ლუზერი და მდაბიობაში ეძებს ე.წ. ნახვადობის ამაღლებას და იმის ნაცვლად, რომ რეალური რეიტინგი მოიპოვოს, სრულ მარაზმს გვჩრის!

მილიონჯერ მითქვამს, რომ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. მილიონჯერ მითქვამს, რომ კართაგენი უნდა დაინგრეს.

მილიონჯერ მითქვამს, რომ აუცილებელია მენტალური რევოლუცია.

რევოლუცია, რომელიც поганой метлой (ბინძური ცოცხით) გახვეტს „ზუკა“ ბერძენიშვილებს, გიგა მაქარაშვილებს, ბაია პატარაიებს, ეკა გიგაურებს და, რაც მთავარია, მათს უმთავრეს დასაყრდენს — ბოკერია-სააკაშვილის იმ იდეოლოგიას, რომლითაც ისინი უკვე ამდენი წელია, ცდილობენ „ახალი“ გაიმპოტენტებული, გაბოროტებული, დაბეჩავებული ქართველის გამოყვანას.

წერილს კი იმ ძველი ანეკდოტით დავამთავრებ, ზუსტად რომ აღწერს საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას:

შუა ოკეანეში გემი მიცურავა, რომელზეც სხვადასხვა ეროვნების ნაძირალაა თავმოყრილი. უცებ ქარიშხალი ამოვარდება და გემი წამი-წამზე უნდა ჩაიძიროს. მგზავრები ერთხმად იწყებენ ლოცვას და ღმერთს შველას სთხოვენ. მოულოდნელად ციდან ისმის ხმა — რას მეუბნებით, ძლივს შეგაგროვეთ ამ გემზე და ახლა გადარჩენას მთხოვთო.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛ Ე.Წ. „ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡᲐ“ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ, ᲫᲚᲘᲕᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲓᲐ ᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲕᲠᲔᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲖᲔᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲫᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲝᲡ.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

SOS! საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის 66 პროცენტი ვალით ცხოვრობს!

საქართველოში 1.8 მლნ ადამიანს აღებული აქვს 19 მლრდ ლარის სესხი, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის 66% ვალით ცხოვრობს, ხოლო საშუალოდ ერთი ადამიანის სესხი 10 ათასი ლარია. ამ ინფორმაციას, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოთხოვილ დოკუმენტზე დაყრდნობით, „თავისუფლებისა და დემოკრატიის ფონდი“ ავრცელებს.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ანა გოგოლაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სესხის მაღალი მაჩვენებელი არაფერზე მიუთითებს, მთავარი პრობლემა ამ შემთხვევაში სესხის მიზნობრიობაა, სრულწლოვანი მოსახლეობის 66%-ს სამომხმარებლო სესხი აქვს აღებული, რაც ძირითადად ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებებს ხმარდება და არა წარმოებას.

„ჩვენი ფონდი აღნიშნული თემით იმიტომ დაინტერესდა, რომ ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია. რა თქმა უნდა ის, რომ ქვეყანაში სესხის მაღალი მაჩვენებელია, არაფერზე მიუთითებს, რადგან განვითარებულ ქვეყნებშიც შეიძლება დიდი მაჩვენებელი იყოს, მაგრამ უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდეთ. მთავარი პრობლემა ამ შემთხვევაში სესხის მიზნობრიობაა, საქართველოში 2 მლნ 700 ათასი ადამიანია სრულწლოვანი, რომლიდანაც 66%-ს სამომხმარებლო სესხი აქვს აღებული.

ჩვენ გვედავებიან ხოლმე იმაში, რომ სესხი კარგია, მაგრამ ის კარგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური დოვლათის შექმნისკენ არის მიმართული. ასევე აღსანიშნავია, რომ 760 ათასი პენსიონერი გვყავს და აქედან ყოველ მეორეს თუ არა, ყოველ მესამეს აღებული აქვს საპენსიო სესხი, რომელიც ხმარდება ძირითადად წამლებს, საკვებს და ა.შ. გარდა ამისა, ყოველ მეოთხე მსესხებელს აქვს ვადაგადაცილება და ვერ ახერხებს სესხის დაფარვას და ისიც ცუდია, თუ როგორ იზრდება ბანკებისთვის ვადაგადაცილებულ სესხებზე ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავლები.

2017 წელს ეს მაჩვენებელი 77 მლნ. იყო, 2019 წელს კი 85 მლნ. შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს სესხის გადახდა უფრო და უფრო უჭირთ. შემდეგ უკვე, 2018 წელს უფრო მეტი ადამიანი იყო, ვისაც ვადაგადაცილება ჰქონდა, ვიდრე 2019 წელს, მაგრამ ამას ის ახსნა აქვს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ სესხების ჩამოწერა“, — განაცხადა ანა გოგოლაძემ.

„საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე ამბობს, რომ მდგომარეობა საფინანსო ბაზარზე, განსაკუთრებით კი ბანკების მიმართებაში არც ისეთი საგანგაშოა, როგორც ამას „თავისუფლებისა და დემოკრატიის ფონდში“ აცხადებენ. მისი თქმით, ინფორმაცია სწორია, თუმცა აქ მთავარი სხვაა, შეიძლება, მსესხებლების რაოდენობა ბევრი იყოს, მაგრამ თვითონ თანხები რაოდენობრივად არც ისე დიდია.

„ფონდს აქვს ეროვნული ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომლის სინამდვილესაც სებ-იც ადასტურებს, ამიტომ ინფორმაცია სწორია, თუმცა ეკონომიკური ანალიზი არ გაუკეთებიათ. რიცხვები საკმაოდ საინტერესოა და ეხება ყველა საფინანსო ინსტიტუტს. დაახლოებით, 1.8 მილიონ ადამიანს აქვს სესხი და აქედან მეოთხედს პრობლემური ვალდებულება აკისრია. რიცხვებში რაც ჩანს, ესეც საკმაოდ პრობლემურია და როგორც აღმოჩნდა, რეგულაციების ეფექტი ჯერ არ მუშაობს და, ალბათ, უფრო გვიან გამოჩნდება.

პრობლემურ მსესხებლებში შეიძლება იყვნენ ონლაინ მსესხებლები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მსესხებლები და არა მხოლოდ ბანკების, როგორც თვითონ აკეთებენ აქცენტს. ამ მხრივ, მსესხებლების რაოდენობა შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ თვითონ თანხები რაოდენობრივად არც ისე დიდია. ვფიქრობ, ასე რიცხვებით თამაში, შეიძლება, გახდეს წინასაარჩევნო სპეკულაციის საგანიც. ზოგადად, სამომხმარებლო პორტფელს რაც შეეხება, საბანკო სექტორში მოკლევადიანმა სესხებმა წინა წელთან შედარებით 6%-ით დაიკლო. სამომხმარებლო სესხის დაკრედიტება რომ სწრაფად იზრდებოდა, ამაზე ეროვნული ბანკი ადრეც აკეთებდა აქცენტს და რეგულაციები სწორედ ამისთვის შემოიღეს, რომ ზრდის ტემპი შემცირებულიყო“, — განმარტავს გიორგი კეპულაძე.

ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ეს მონაცემები გაუარესების ინდიკატორი არ არის და „დაკრედიტების წესები გაცილებით უფრო ცივილიზებულია და მიახლოებული ევროპულთან. შესაბამისად, დღეს თუ რამე ტიპის ვალი ვიღაცას უგროვდება, ან ვიღაც აცილებს ვადას, ეს არის ჩვეულებრივი პროცესი“.

ცნობისთვის, **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 1 824 610 ფიზიკურ პირს ჯამში 19 მლრდ ლარზე მეტი ოდენობის აქტიური სასესხო ვალდებულება აქვს, ვადაგადაცილება კი 472 013 ფიზიკურ პირს უფიქსირდება.** აღნიშნული მონაცემები მოიცავს როგორც ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ასევე არარეგულირებადი სუბიექტების მონაცემებს.

ნინო თამაზაშვილი

საქართველოს ყველაზე მაღალი მოგების მქონე ბანკი „თიბისია“!

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების 2019 წლის მეოთხე კვარტალის ფინანსური მაჩვენებლები გამოაქვეყნა. 2019 წლის მონაცემებით, 392 მლნ ლარის წმინდა მოგებით „თიბისი ბანკი“ ლიდერობს. მისი აქტივების ღირებულება 18 მლრდ ლარია და ის ამ მხრივაც საქართველოში პირველ ადგილს იკავებს.

რეიტინგში მეორე ადგილზე 390.4 მლნ. ლარის წმინდა მოგებით „საქართველოს ბანკია“, რომლის აქტივები 17 მლრდ ლარს შეადგენს.

საბანკო სექტორში წმინდა მოგების მხრივ 2019 წელს მესამე ადგილზე „კრედო ბანკი“ იყო, რომელმაც 27.7 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღო. მისი აქტივები 1 მლრდ ლარს აღემატება.

26.8 მლნ. ლარის წმინდა მოგებით მეოთხე ადგილზეა „ლიბერთი ბანკი“, რომელიც აქტივების ზომით ბანკების სამეულშია. მისი აქტივები 2.1 მლრდ-ს შეადგენს.

ხუთეულს „ბაზის ბანკი“ ასრულებს, რომლის წმინდა მოგება 24.8 მლნ ლარია, მისი აქტივები კი 1.66 მლრდ ლარი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ფინანსურ ზარალზე მხოლოდ ორი — „სილქ როუდ ბანკი“ და „პაშა ბანკი“ გავიდა. „პაშა ბანკის“ ზარალმა 2019 წელს 8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო „სილქ როუდ ბანკის“ ზარალმა — 210 ათასი ლარი.

წმინდა მოგების მიხედვით საქართველოს კომერციული ბანკების რეიტინგი:

1. „თიბისი ბანკი“ — 392,114,132 ლარი;
2. „საქართველოს ბანკი“ — 390,435,262 ლარი;
3. „კრედო ბანკი“ — 27,699,088 ლარი;
4. „ლიბერთი ბანკი“ — 26,832,117 ლარი;
5. „ბაზისბანკი“ — 24,830,002 ლარი;
6. „პროკრედიტ ბანკი“ — 23,131,243 ლარი;
7. „ქართუ ბანკი“ — 22,449,122 ლარი;
8. „ტერაბანკი“ — 20,241,573 ლარი;
9. „ვითიბი ბანკი“ — 13,656,751 ლარი;
10. „ხალიკ ბანკი საქართველო“ — 7,647,408 ლარი;
11. „იშ ბანკი საქართველო“ — 5,807,767 ლარი;
12. „ზირაათ ბანკი საქართველო“ — 3,471,759 ლარი;
13. „ფინკა ბანკი საქართველო“ — 3,398,621 ლარი;
14. „სილქ როუდ ბანკი“ — 210,554 ლარის ზარალი;
15. „პაშა ბანკი საქართველო“ — 8,209,436 ლარის ზარალი.

ქუთაისის მოსახლეობა 24-საათიან წყლის მიწოდებაზე ეტაპობრივად გადადის

ქუთაისის წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობის მეორე ფაზა დასკვნით ეტაპზეა. ამ დროისთვის ქალაქში ახალ ქსელზე გადართვითი სამუშაოები მიმდინარეობს. წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის გრიგოლ მანდარიას განცხადებით, ქუთაისის მოსახლეობა 24-საათიან წყლის მიწოდებაზე ეტაპობრივად გადადის.

„კომპანიამ ქუთაისის წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის დონორი ორგანიზაცირის მხარდაჭერით დაახლოებით 92 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა. ამ ეტაპზე აბონენტების ახალ ქსელზე გადართვა ხორციელდება. შემიძლია ვთქვა, რომ პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მოსახლეობის 60 პროცენტს წყალი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება. უახლოეს პერიოდში ახალ ქსელზე ქალაქ-მუზეუმისა და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულები ჩაირთვება.

<u>რომან კაკულია:</u> საქართველოში ბიზნესგარემო გაცილებით თავისუფალია და არავითარი წნეხი არ არსებობს

კომპანია „ფრონტერას“ სხვადასხვა ინტერპრეტაციებმა ინტერესთა კავშირების სხვა მნიშვნელოვანი პროცესები უფრო შეაფერხა, ვიდრე სახელმწიფომ მათი საქმიანობა,- ამის შესახებ პარლამენტის ეკონომიკური და დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიამ „ფრონტერას“ განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა. რაც შეეხება „ფრონტერას“ განცხადებას იმის თაობაზე, რომ 2013 წლიდან დაიწყო სახელმწიფოს მხრიდან კომპანიის შევიწროება, კაკულიას თქმით, არ იცნობს კონკრეტულ გადაწყვეტილებას, რომლიდან გამომდინარეც კომპანიას შეიძლება, აღნიშნულის თქმის საფუძველი ჰქონდეს.

„რაც არის სასამართლოების პრეროგატივა, მე ამაში ვერ ჩავერევი. უფრო მეტიც, მე მგონი მათმა სხვადასხვა ინტერპრეტაციებმა ინტერესთა კავშირების სხვა უფრო მნიშვნელოვანი პროცესები უფრო შეაფერხა, ვიდრე სახელმწიფომ მათი საქმიანობა“, — განაცხადა რომან კაკულიამ. „ფრონტერას“ განცხადების იმ ნაწილზე კი, სადაც კომპანია იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისების მრავალმილიარდიანი პროექტის განხორციელებას გააგრძელებენ, კაკულია ამბობს, რომ აღნიშნულ საკითხს თავადაც იმედით უყურებს.

მიშუტკა ომში მიდის,

ანუ ახალი კვირტი ბოროტების ხეზე

ყოველი ახალი არჩევნები ჩვენში რევოლუციის წინაპირობა და წინადღეა.

თითქოს ამ დღეს თუ იმას არ ავირჩევთ, ვისაც ვირჩევთ, ან უფრო სწორად, ვისაც ესა თუ ის პარტია გვტენის ცხვირში, როგორც ვირს პიტნას, ქვეყანა დაიქცევა.

ამას უკვე მივეჩვიეთ.

ამას უკვე აღარ ვაპროტესტებთ.

თორემ რევოლუციის ამ მუდმივ შიშში და მოლოდინში უთუოდ რაღაც დაგვემართებოდა.

ეს კია, ნატვრით ვიგონებთ იმ ბედნიერ დროს, როცა არჩევნებზე დოლგარმონით მიგვერეკებოდნენ და მხოლოდ საარჩევნო უბანზე მისვლისას გავიგებდით, ვის ვირჩევდით, რაში ვირჩევდით და მეზობლების ბიულეტენებითაც ვავსებდით ურნებს. ეს მერე მივხვდით და შევიმეცნეთ არჩევნების სიდიადე და მნიშვნელობა ქვეყნისთვის: თუ პარტია „თხა და გიგოს“ არ მივცემთ ხმას, უმჯობესია, ცოლშვილს დანა გამოვუსვათ ყელში. და ვართ ასე მიჩიჩინებული ტელეეკრანებს, არიქა, გავა თუ არა პარლამენტში აივენგო მუდრეგაშვილი, ან პარტია „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ უსწრებს თუ არა „ქიზიყი-უბატონო ქვეყანას“...

მაგრამ წლევანდელი წელი მაინც გამორჩეულია, წლეულს სამყაროს დასასრულია. თუ ოპოზიციამ არ გაიმარჯვა, ქვეყანა დაიქცევა, დაინგრევა, მოისპობა. ამიტომ ოპოზიცია გაერთიანდა, ძალები შეიმატა და სულ გამხეცდა. იგი არაფერს აღარ ერიდება, არაფერს აღარ თაკილობს. ცრუობს, ჭორაობს, ვაჭრობს, იმუქრება, იგინება, იჭაჭება, რათა როგორმე ვინმეს ყურადღება მიიქციოს, თავი მოაწონოს, გადაიბიროს, თავის მხარეს მიაბრუნოს. რაც მთავარია, ყველაფერზე მიდის, რათა როგორმე გამარჯვება დაიბევოს. იმდენი შეძლო, ამ მეგობარი ამერიკიდან საპროტესტო წერილების სეტყვა დაგვიშინეს.

იშვა ლოზუნგი — „ყველა ერთის წინააღმდეგ“. ამიტომ იქცა ლეიბორისტთა ოფისი ამ ყველა ერთის წინააღმდეგის სამუშაო სივრცედ, „კოზმანაშვილის დარბაზად“ (ვისაც არ ახსოვს, ან, უბრალოდ, არ იცის: თბილისელი მოქალაქის კოზმანაშვილის ბინაში იქსოვებოდა ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟის პაატა ბატონიშვილის შეთქმულება მეფე ერეკლე მეორის წინააღმდეგ 1764 წელს).

ეს „კოზმანაშვილ-ნათელაშვილის“ დარბაზი სწორედ რომ საოცარი და უპრეცედენტოა თავისი შემადგენლობით, აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან გიგა ბოკერია და ნიკანორ მელია, გრიგოლ ვაშაძე და აკაკი ასათიანი, გუბაზ სანიკიძე და ნინო ბურჯანაძე, არამკითხეები — ბაჩუკი ქარდავა და პაატა დავითაია... ერთი სიტყვით, ეს ის ხეა, რომელსაც ერთდროულად სხვადასხვა ჯიშის ხილი ასხია, რომელთაგანაც, კაცმა არ იცის, რომელია საჭმელად ვარგისი...

> **რომელ ვარგისობაზეა ლაპარაკი, როცა ისიც არ იცი, ხვალ რომელ მათგანს მოუვა თავში, „პოლიტიკური მოსაზრებით“ გალანძღოს ჩვენი სათაყვანო ვაჟკაცი ლაშა ტალახაძე, რომელიც სიმძიმეებზე გამარჯვებით აჟღერებს საქართველოს ჰიმნს მსოფლიოს უდიდეს სპორტულ დარბაზებში, ან ბინძურად, არაკაცურად იძილიკოს ჯერ კიდევ მიწას მიუბარებელ დიდებულ ქალბატონ ლალი ბადურაშვილზე. დიდებულზე თავისი ოჯახიშვილობით, ცხოვრების წესით, მოქალაქეობრიობით, სახიერებითა და გონიერებით — ღმერთმა ნათელში ამყოფოს!**

ახლა იმ მრავალფეროვანი უხეირო ნაყოფით დახუნძლულ ხეზე ახალი ხილი იკვირტება — 8 თებერვალს პირველმა ტელეარხმა გვამცნო და ფეისბუქის პირად გვერდზე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა გახმოვანდა, ეს არის მოწოდება „მაოხრებელი ივანიშვილის, ბრიყვი თალაკვაძის, ბოროტი წულუკიანის, ანაბრების ქურდი ჩხარტიშვილის, ბოლომდე გათავხედებული მექრთამე კალაძის და უამრავი სხვა არარაობის წინააღმდეგ, რომლებიც ანადგურებენ ჩვენს ქვეყანას“, ერთიანი ფრონტით გალაშქრებისთაობაზე. დაწერილია მიშას კლასიკურ სტილში: ემოციურად და ფშუკედ, რაც მთავარია, თვითრეკლამურად.

სააკაშვილი აღშფოთებულია: ადრე, სანამ ახლანდელი ხელისუფლების განცხადებებს ვისმენდით („მოღალატურს, სულელურს, გიჟურს“), გვეგონა, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო და ეს უბედურება მალე გაივლიდა, ხალხი ადვილად მოიშორებდა, მაგრამ გავიდა 8 წელი და ეს ხალხი არსად არ აპირებს წასვლას. უფრო მეტიც, უნდათ, რომ მიგვაჩვიონ ამ არაადამიანურ, გიჟურ მდგომარეობას. ეს ხალხი აპირებს, რომ დარჩნენ — ჯერ 4, შემდეგ კიდევ 4 და მერე კიდევ ალბათ 10-16 წლითო.

და იგი გვაცნობს თავის გადაწყვეტილებას, რომელიც დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მიუღია. ჩვენი ხალხი არ იმსახურებს იმას, რაც მოგვაჩეჩა „ქართულმა ოცნებამ“ — გაჭირვება, დახოცილი ბავშვები, კაპიკებზე დღედაღამ შრომა უცხოეთში, ბრძოლა გადარჩენისთვის, გაზულუქებული, მექრთამე და ბოლომდე გათავხედებული ჩინოვნიკები.

მიშას თურმე გული უკვდება ყოველივე ამის შემხედვარეს, ამიტომ ის, რა თქმა უნდა, გვერდზე ვერ გადგება და გადაუწყვეტია, უკვე ღიად, აქტიურად, ორგანიზაციულად ჩაერთოს ჩვენი ხალხის დასახმარებლად, ივანიშვილის რეჟიმის მოსაშორებლად და საქართველოს სწრაფად განვითარების გზაზე მყარად დასაყენებლად ბრძოლაში.

ცხადდება რევოლუციური, გასახარი, ქვეყნად ბედნიერების დამამკვიდრებელი ბრძოლის დასაწყისი: „1 მარტიდან სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ბაზაზე ვხსნი ჩემს პირად შტაბს, რათა დავაჩქაროთ ივანიშვილის რეჟიმის დასრულება და საქართველოს გადარჩენა“.

შემდეგ, როგორც ამბობენ, „დავლური და ცხელი ტაში“: **ძალიან ბევრი ადამიანი მიდგას გვერდით, ძალიან დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს ქართველ ხალხს და მე. ყველა ჩემს რესურსს, ყველა ჩემს კონტაქტს, ყველა ჩემს გამოცდილებას მოვახმარ იმას, რომ ეს უბედურება სწრაფად გადაილახოს. უკვე მაქვს კონსულტაციები. წელს ისინი დასრულდებიან, წელს დაჩოქილი საქართველო ფეხზე წამოდგომას დაიწყებს. ყველას გელოდებით. დროის ათვლა დაიწყო ქართველი ხალხის და თითოეული ჩვენგანის გამარჯვებამდე!“**

მოკლედ, დაახლოებით ასეთია მუდამ მოუსვენარი, მისი დღე და მოსწრება ჩხირკედელა, არაფრის მომტანი, ხელმოცარული, ფშუკე იდეებით გაძეძგილი ექსპრეზიდენტის ახალი, ფაქტობრივად, რევოლუციური პროგრამა...

მიხეილმა, რომელიც გამარჯვებაში და ამ გამარჯვებაში თავის უდიდეს მნიშვნელობაში ღრმად დარწმუნებულია, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა მთელ იმ გააფთრებულ ანტისახელისუფლო, თუ, უფრო ზუსტად ვიტყვით, ანტისახალხო მოძრაობას, რასაც მისგან შთენილი ნაციონალური მოძრაობა ეწევა წლების მანძილზე და რომელიც ერთ დროს მთლიანად მასზე იყო „მიბმული“, ახლა კი რამდენიმე, უმთავრესად ორ ძირითად მიმართულებად დაკონკრეტდა: „ნაციონალურ მოძრაობად“ და „ევროპულ საქართველოდ“. ყოველი შემთხვევისთვის, ძვალი კი გადაუგდო ადგილობრივ „საზარბაზნე ხორცს“: მე მომხრე ვარ ყველა ოპოზიციური ჯგუფის ერთიანობის, ჩვენი ფართო ფრონტის შექმნისო და იქვე დაამატა ერთობ საყურადღებო: მომხრე ვარ იმისა, რომ არც ერთი ძველი თანამდებობის პირი არ დაუბრუნდეს თავის კაბინეტსო.

გამგებმა უნდა გაიგოს ეს იკლიკანტურად ნათქვამი. გაიგეს კიდეც!

„ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიგა ბოკერიამ მშვენივრად შეიმეცნა ამ „ახალი“ მოთამაშის ნართაულები, თუმცა ერთობ თავშეკავებულად განაცხადა — მიშა სააკაშვილის საქმეა, რა მოძრაობას შექმნის და რა კონტექსტში ჩაეწერება. პოლიტიკურ პარტიებს შორის თამაშის წესებზე შეთანხმების ფორმატი კი ინახება ლეიბორისტული პარტიის ოფისში და ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ უნდა შეიცვალოს ის. ვინმეს წინააღმდეგი კი არ ვარ, უბრალოდ, ამის არავითარი საფუძველი არ არისო. ერთი სიტყვით, როგორც რუსები იტყვიან, სამ ასოზე გაუშვა.

> **გიგა ბოკერია რომ სააკაშვილის შემოტენვით შეშფოთებულია, ეს აშკარაა. ერთიანი ოპოზიციის პროგრამა მისი დიდი ძალისხმევით არის შედგენილი და ახლა სააკაშვილის „ინიციატივა“ სწორედ რომ არაფერში არგია. ის კი არა, გარკვეულად კარტებსაც ურევს. საერთოდ გიგა (და მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი) ყოფილი ბელადის მიმართ გაღიზიანებას არასოდეს მალავდა. ოღონდ ახლა „ყველა ერთის წინააღმდეგ“ ფარგლებში ამ გაღიზიანებას გულში იკლავს და „ახალი პარტნიორის“ შემომატებას გულსგარეთ „ესალმება“.**

სხვათა შორის, არც გიორგი ვაშაძე არ იძრობს ხელისგულზე ტყავს ტაშით, ერთობ გულგრილად აცხადებს, რაც უფრო მეტი ინიციატივა იქნება „ქართული ოცნების“ დასამარცხებლად, მით უკეთესიაო.

ჯერჯერობით მხოლოდ ამ ყოვლად გაუგებარმა გუბაზ სანიკიძემ აიჩუყა გული, ჩემი მოსაზრებები დაახლოებულია სააკაშვილის აზრთან, რომ უნდა შეიქმნას დიდი ზეპარტიული მოძრაობაო.

ჩვეულებისამებრ ვერც ახლა მოარტყა მიზანში სანიკიძემ. ეს აზრი არც მისია და არც სააკაშვილის, ამის თაობაზე მთელი საუკუნეა, ლაპარაკობენ „ევრონაცები“, ამიტომ არ შეიქმნა „ნათელაშვილის დარბაზი“?!

და მაინც, აშკარაა: სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ბაზაზე მიშას პირადი შტაბის გახსნა გარკვეულ ძვრებს გამოიწვევს წინასაარჩევნო პოლიტიკურ დუღილში, ერთიან ოპოზიციურ მოძრაობაში. უდავოა, გამოჩნდება ახალი ლიდერი, ახალი თეორია, ახალი პოლიტიკური ხედვა, რომელიც უკვე არსებულს, უკვე შეჩვეულს, უკვე აპრობირებულს შეეჯახება. რამდენად კარგი, რამდენად მისასალმებელი, საქმისთვის რამდენად ხელშემწყობი იქნება ის, დრო გვიჩვენებს.

> **შეიძლება უკურეაქციაც მოჰყვეს.**
>
> **ასეა თუ ისე, მიშა-მიშუტკა ომში მიდის.**
>
> **შტაბი უკვე აქვს ბიბლიოთეკაში.**
>
> **ბოროტების ხეზე ახალი კვირტი გამოვიდა...**

ალეკო ასლანიშვილი

თამარ ჩერგოლეიშვილი:
მიშა იაფფასიანი მატყუარაა!

„ტაბულას“ მთავარი რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ასეთ პოსტს აქვეყნებს:

„ჩემი ამოცანა არ არის პირადი ამბიციის დაკმაყოფილება“ — სააკაშვილი.

2016 წელს, არჩევნებამდე 10 დღით ადრე, მელიამ თქვა, მიშა პრემიერი არ იქნებაო და ისტერიკა გამართა, თუ არ უარყოფთ მაგ განცხადებას, „რუსთავი ორზე“ გამოვალ და ვიტყვი, რომ მოღალატეები ხართო.

ხალხი ციხეში გვილპებოდა და ეს, სასტუმრო „ფერმონტში“ წამოგორებული, იმ სკამზე ჭიდაობდა, რომელიც არ გააჩნდა.

„იაფფასიანი მატყუარაა ეგ კაცი და მხოლოდ პირადი ადარდებს — სხვა არაფერი. ამიტომაა ამ მდგომარეობაში“, — წერს ჩერგოლეიშვილი.

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი



ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

პიროვნება

რაც ქვეყნის ღირსებაა, იმის გადარჩენა მხოლოდ ერთი პირობით არის შესაძლებელი: ეს არ უნდა ვიგულმავიწყოთ. ქვეყნის ღირსებას კი შეადგენენ გულმოწყალება, ცოდნის სიყვარული და შინაგანი ადამიანის პატივგება.

* * *

მარაგი ობივატელს ახარებს, მაგრამ ობივატელი ნახევარკაცია.

* * *

რაც უკვე ცოცხალი აღარ არის, ნაყალბევი ხდება.

* * *

წინ წაწევა იმის გაგებას ნიშნავს, აზრმა, რაც შენ გტანჯავდა, აზრი დაკარგა.

* * *

ჭკუა სახიფათო რამ არის, ჭკუა, რომელსაც სწამს, სიტყვა აზრს გადმოსცემს, რომ კამათში იშვება ჭეშმარიტება.

* * *

ერთის წარუმატებლობა მეორის წარმატებაა. კეთილშობილია მხოლოდ ყოველთა თანამშრომლობა თითოეულის წყალობით, სუყოველი წარუმატებელი ნაბიჯი უხვაიშნებს წარმატებულს, წარმატებას კი მივყავართ მიზნისკენ და კიდევ იმისკენ, ვისაც მარცხი მოუვიდა, ახლა ორივენი, წარუმატებელიც და წარმატებულიც, ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან ერთი მიზნისკენ. უფლის მძებნელნი იმას ყოველთვის პოულობს.

* * *

ის გვამდაბლებს, ვინაც თავად მდაბალია.

* * *

ასეთია კაცობრივი გონების თავისებურება. იმისთვის დამახასიათებელია რწმენა, რომ ზღვა ხომალდისთვის არის შექმნილი.

* * *

წუხან მუდამ ერთი რამისა გამო – დროისა გამო; რომელმაც ისე ჩაიარა, დატოვებით არცრა უკან არ დაუტოვებია გარდასულ დღეთა საჩუქრად. დაკარგულ სამაჯურზე რომ ტირიან, ტირიან დროზე, სადღაც გზააბნეულზე; როცა მკვდარ ძმას ტირიან, ტირიან დროზე, რომელიც აღარც რას არ მოემსახურება. წამოზრდილი გოგონა იწუხებს წასულ შეყვარებულზე და ამასთანავე არ ესმის, რომ ცხოვრებისკენ მიმავალ დაკარგულ გზაზე ტირის, შინ ჩაკეტილი ჩაიდნისკენ, მკერდთან აფანცქალებული ყრმისკენ მომავალ დაკარგულ გზაზე ტირის.

* * *

...დაპარგული ძალმოსილება აღარ დაბრუნდება.

* * *

მე პატივს მივაგებ სუყოველ ადამიანში საუნჯეს რასმე, და აქ არის ჩემი სამართლიანობა, ამბოკარში შუქი ჟოლავს, მაგრამ არა ჩანს. სამართლიანია სუყოველ ადამიანისშვილში ვხედავდეთ გზასა და ფირანს. გულმოწყალება ის არის, რომ სუყოველი კეთილს ეწიოს.

* * *

არ არის ისეთი რამ გარემოება, რომელიც ერთბაშად გააღვიძებდა ჩვენში შეუცნობელს, რაზეც ადრე აზრზეც არ ვიყავით.

* * *

უკეთუ გემის აგება გწადს, საჭირო არ არის ხალხის შემოკრება, დაგეგმვა, სამუშაოს განაწილება, ხელსაწყოთა შოვნა. საჭიროა ადამიანებისთვის ზღვისადმი სწრაფვის შეყრა. მაშინ ისინი თავად ააგებენ გემს...

* * *

ერიდე ვისიმე წყენინებას, რამეთუ ადამიანი თავის წყენინებას იმაზე ადრე არ ივიწყებს, სანამ შურს არ იძიებს.

* * *

ნურასოდეს მოთმინებას ნუ დაკარგავ – მოთმინება უკანასკნელი გასაღებია, კარს რომ აღებს.

* * *

გევრი უნდა განვიცადოთ, რომ ადამიანი გავხდეთ.

* * *

მომავალი გაფიქრებს, დღესვე დაიწყე იმის შენება, შენ ყოველივეს შეცვლა შეგიძლია. უნაყოფო, მწირ დაბლობზე კედრის ტყის გაშენება შეგიძლია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ შენ კი არ მოახდინო კედრების კონსტრუირება, არამედ ჩათესო თესლი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-23

* * *

წესრიგი ქმნის ცხოვრებას, ოღონდ ცხოვრება არა ქმნის წესრიგს.

* * *

რაც რამ გნებავთ, ადამიანები იმის სწავლას ესწრაფვიან, მარტო აზროვნების უნარის სწავლას არ დაგიდევენ. ისინი სწავლობენ წერას, სიმღერას, კარგ მეტყველებას, მგრძნობელობას, მაგრამ არასოდეს არ სწავლობენ აზროვნებას.

* * *

ჩვენ ვისწავლეთ ცაში ჩიტებივით ფრენა, წყალში თევზებივით ცურვა, ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ადამიანებივით ცხოვრება ვისწავლოთ.

* * *

აღზრდა გევრად უპირატესია განათლებაზე, ადამიანს აღზრდა ქმნის.

* * *

სრულყოფილება მიცვალებულთა მადლია.

* * *

გოლოს და გოლოს მივხვდი, რომ შექმნა მამაზეცი-ერმა თავის სიყვარულში ადამიანები ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობით და რატომ მიჰმადლა იმედის თუ სასოების მადლი. რამეთუ აგრე ადამიანები ერთიან ღმერთის მოციქულნი გახდნენ და სუყოველი ადამიანის ხელთ არის დანარჩენთა ხსნა.

* * *

უგეგმო მიზანი უბრალოდ ოცნებაა.

* * *

ადამიანობა სიტყვასიტყვით ნიშნავს იგივე პასუხისმგებლობას. ეს ნიშნავს სირცხვილის განცდას იმის ხილვისას, რაც დაუმსახურებელ გედნიერებად მიგაჩნია, სირცხვილის განცდას სიღატაკის წინაშე, რაც სულაც არ არის შენზე დამოკიდებული. განცდას შენი ამხანაგების მიერ მოპოვებული გამარჯვების გამო. შეგნებას, რომ შენი ერთი დადებული აგურის გამო შენც ხელს აშველებ სამყაროს შენებას.

* * *

ადამიანი უწინარესად შემოქმედია. ძმობა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანების იმ გაერთიანებას ვუწოდოთ, ერთად რომ რუდუნებენ.

* * *

ერთადერთი მოვლენას რასმე ძალუძს ჩვენში სრულიად უცნობი ადამიანის გაღვიძება.

* * *

არცვის აქ არ გავცნობივარ და არც ვესწრაფი ამას. რამე წინადადებისა და სიცილის ნაწყვეტებს, ჩემს კუთხე-კუნჭულამდე რომ აღწევს, გულსა მტკენს. ეს ბგერები წამოდუღებული შეჭამანდის ბუჟბუჟს მაგონებს. ეს ადამიანები თავიანთ ჯამებში ჩაიყურებიან და სიკვდილამდე ბუყბუყებენ. მაშ, რაღაა ცხოვრება? ვიცნობ ერთ ახალგაზრდა წყვილს – ახალშექმნილ ოჯახს, რომელიც დარწმუნებულია თავის კეთილდღეობაში; კი, ბედნიერი ოჯახია, მაგრამ ეს ბედნიერება დამყაყებულად მეჩვენა. იცი რა, ამ ბედნიერებაში იგრძნობოდა მეტისმეტად ბედსვიანი ადამიანების წუწუნი. ბედნიერების უსაფუძვლო გამორეტება. რომ წავიდნენ, შვებით ამოვისუნთქე. არა, ისინი ძალიანაც მიყვარან, მაგრამ ვერ ვიტან მსგავს გაზულუქებას. არიან, ალბათ, ადამიანები, ზღვიდან მონაბერ ქარს რომ ჰგვანან.

* * *

არ მიყვარს ისეთი ადამიანები, ერთ ჩემს ნაცნობს რომ ჰგვანან და ბედნეირებამ სრულად რომ მოყირჭა; ისინი ჩერდებიან თავიანთ განვითარებაში, საჭიროა შინაგანი შეშფოთების რაღაც წილი, რათა გვესმოდეს, რაც რამ ჩვენ გარშემო ხდება.

* * *

...ბევრად მირჩევნია სადმე მონასტერში წასვლა, ვიდრე ერთი დღე-ღამე იმ საზოგადოებაში ყოფნა, რომლის თავს მოხვევასაც თქვენ ცდილობთ, საზოგადოებაში, სადაც ადამიანებს აფასებენ არა არსის გამო, არამედ იმ სამსახურებრივი ნუსხის მიხედვით, სადაც გულების ნაცვლად მანიფესტებია, სადაც კარის მეზობლები დამსმენებსა და მსაჯულთ კაცობის გვირგვინს ადგამენ, სადაც შინაგანი ბუნება ჩირად ფასობს, სადაც ბაქიბუქობენ, რომ იწმინდებიან და ჯანსაღდებიან, არადა, ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებით იკლავთ თავს, რათა მერე მსოფლიო ბაზარზე გამოფინოთ შიგნეული.

* * *

მე როგორიც ვარ, ისეთი ვარ და უნდა მეძებოთ ჩემსავე ნაწერებში, – ეს ყოველივე იმის კეთილსინდისიერად შემოწმებული შედეგია, რასაც ვფიქრობ და ვხედავ.

* * *

ჩემთვის მოუთმენელია სოციალური ხელშეუვალობა. მე ნიუარასავით სავსე ვარ ხმაურით. არ შემიძლია განმარტოებით ბედნიერება.

* * *

ხელის ჩამორთმევაშიც ხართ, მიმშვიდობებაშიც, დამშვიდობებაში კი ჩქარობთ. მხოლოდ გრძნეულ, ხილულ სამყაროში თქვენივე თავთან საიდუმლოდ აჩქარებული ნაბიჯით გაივლით ბაღს. და ეს თქვენი მიხრა-მოხრა სიარულში უზომოდ მეძვირფასება.

* * *

მარტოოდენ ჭეშმარიტად სამ დიდ ადამიანს ვიცნობდი. სამივენი უწიგნურნი, უანბანონი იყვნენ: სავოიელი მენახირე, მებადური და უპოვარი. იმათ ფეხი არ მოუცვლიათ თავიანთ სიცოცხლეში თავიანთი სოფლიდან. ისინი ერთადერთნი იყვნენ, ვინც ჩემი პატივისცემა მოიპოვა....

* * *

სათნოება ფრანგული სულიერი მემკვიდრეობის გადარჩენას ნიშნავს, თანაც სადმე კარპანტრაში ბიბლიოთეკის მცველად უნდა დარჩე. სათნოება თვითმფრინავით დაუცველი ფრენაა. ბავშვებისთვის წიგნის სწავლებაა. უბრალო დურგლობაა და თუ საჭირო გახდა, სიკვდილზეც უნდა წახვიდე.

* * *

ვგრძნობ, რომ ახლად დაბადება მეჭირვება. მივხვდი, რომ დიდად გავიხარებდი, უკეთუ მაიძულებდნენ, რომ ფიცარზე გაჭიმულად მიბმულს წლობით დამწვენდნენ. ეს სულის ბედ-იღბალი იქნებოდა. ზუსტად ეგრევე გავიხარებდი, უკეთუ კვლავ „ლოტნინგის“ საჭევართან მიმიშვებდნენ და ისევ მაბრძოლებდნენ: ეს ჯარისკაცების ბედ-იღბალი იქნებოდა. ანდა უიმედო მიჯნური გავმხდარიყავი: ოღონდაც საუკუნოდ. ეს გულის ბედ-იღბალი იქნებოდა.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

დიდი მეცნიერის უცნაურობანი

5 უცნობი ფაქტი ივანე ბერიტაშვილის ცხოვრებიდან

„უცნობი ისტორიები ცნობილ მეცნიერზე“ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ივანე ბერიტაშვილის 135 წლის იუბილესთან დაკავშირებით კრებული გამოსცა, რომელიც მერაბ ცაგარელმა და ნინო კაკულიამ შეადგინეს.

ივანე ბერიტაშვილი არის ფიზიოლოგიისა და ნეირომეცნიერების სკოლების ფუძემდებელი საქართველოში. აკადემიკოსს 400 სამეცნიერო შრომა და 12 მონოგრაფია აქვს გამოცემული.

სამჭკუაშვილის მეთერთმეტე ბავშვი

ივანე ბერიტაშვილი კახეთში ღარიბი მღვდლის სოლომონ ბერიტაშვილის ოჯახში დაიბადა. სოლომონსა და მის მეუღლეს სალომე სამჭკუაშვილს, 12 შვილი ჰყავდათ, ივანე მეთერთმეტე იყო.

სწავლობს ერთიანებაზე

თავდაპირველად ივანე თელავის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. იქ გეოგრაფიას მწერალი ვასილ ბარნოვი ასწავლიდა, სიმღერას კი – კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი. მოგვიანებით ივანე თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, მაგრამ რადგან რუსული არ იცოდა, კარგა ხანს ნიშნად „ედინიცებს“ უწერდნენ.

„გრეკოვმა, შემოვიდა თუ არა, აათვალიერ-ჩაათვალიერა კლასი. მე გაკვეთილი არ ვიცოდი და როცა მიზეზი მკითხა, ვუპასუხე: „კნიგა ნეტუ“. აბა, იმისთანა სიცილი აუტყდათ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც, მეტი არ შეიძლება, ჩემი რუსული რომ გაიგონეს“, – წერს თავის დღიურში ივანე ბერიტაშვილი.

ლეიბის ქვეშ გაღამალული კონტრაბანდა

ერთხელ სემინარიაში არალეგალური მარქსისტული ლიტერატურის ამოსაღებად ჩხრეკა ჩატარდა. ივანეს ლეიბის ქვეშ წიგნები უპოვეს. გარიცხვას მხოლოდ რუსულის უცოდინარობის გამო გადაურჩა: მიხვდნენ, წიგნები მისი არ იქნებოდა. მოგვიანებით ბერიტაშვილმა ჯგუფელებისგან შეიტყო, რომ არალეგალური ლიტერატურა მისი ლეიბის ქვეშ სემინარიის მოსწავლემ იოსებ ჯუღაშვილმა დამალა.

ორი უმუშევარი

ივანე ბერიტაშვილს, ერთი პერიოდი, საბჭოთა ხელისუფლება არ სწყალობდა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან დაითხოვეს. ქართულმა ხელისუფლებამ მოსკოვს დაუმალა, რომ მას სხვა სამსახურიც ჰქონდა, მაგრამ მოგვიანებით ვიღაცამ მაინც დაასმინა და ივანე ამ სამსახურიდანაც გაათავისუფლეს.

უქმად რომ არ ყოფილიყო, წიგნზე მუშაობა დაიწყო. ერთხელ რუსთაველზე ლადო გუდიაშვილს შეხვდა, რომელიც ასევე უსამსახუროდ იყო დარჩენილი. ლადომ შესთავაზა, ილუსტრაციებს შენი წიგნისთვის მე გავაკეთებო.

ასე აღმოჩნდა უმუშევარი ივანე ბერიტაშვილის საბუნებისმეტყველო წიგნში უმუშევარი ლადო გუდიაშვილის ექვსი ნახატი.

წვერებცანცარა

ივანე ბერიტაშვილი მოკლე წვერს ატარებდა. თელავის ბაზართან მეწაღეები ისხდნენ ხოლმე. როცა აკადემიკოსი ჩაივლიდა, ეგრევე კიკინს ატეხდნენ, თან გაიძახოდნენ, წვერებცანცარა მოდისო.

ბერიტაშვილი ყოველთვის ხალისობდა ამ მეწაღეებზე, თავისი წვერი კი ძალიან მოსწონდა.

თეა თოფურია

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი!..

იმ დილითაც, ჩვეულებრივ, მზეს ავასწარი, მხნედ ავიბილიკე იაღლუჯის ყველაზე მაღალ თხემზე და ბეჭებზე მოგდებული, ლამის საუკუნოვანი წლები, მშვიდად შევაგებე უკვე ვარსკვლავგაკრეფილ ზეცას.

მერე და რა ლამაზია ამ გადმოსახედიდან ჯერ კიდევ გაჩირაღდნებული რუსთავ-ქალაქი, ჩემი თაობის და ჩემი ნაჭარმაგევ-ნაჭირნახულევი, ნელად მოდუდუნე მტკვარი, მწვანეში ჩაფლული არიშის ციხე, ანუ ციხეგოჯი.

ჩავიმუხლე თუ არა, ავახმიანე ჩემი მუდმივი თანამგზავრი რადიო, მე ხომ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, იმხანად საქართველოს ერთადერთი ტელე-რადიომაუწყებლობის ჟურნალისტი ვიყავი ქვემო ქართლში.

როგორღაც ტალღაზე ქართული ტკბილხმოვანი რადიო გამეჩითა, ასაკოვანი მეცნიერები საქართველოს ისტორიას აცოცხლებდნენ, თვით ადრე საუკუნეებიდან ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულის მატიანე გაამზიურეს, რა თქმა უნდა, ქართლ-კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, აჭარა, აფხაზეთი, თითქმის ორი საათი იქექებოდნენ თვით უდიდესი მრავალზე მრავალრიცხოვანი ერებისა და სახელმწიფოებისთვისაც კი შესანატრ გმირულ ისტორიას და ჰოი, საკვირველებავ, ჩემი სამეგრელო არა და არ, თუ ვერ გაიხსენეს!..

დიდი ხოტბა შეასხეს და ღირსეულადაც გელათისა და იყალთოს აკადემიებს, აი ფაზისის აკადემია თითქოს არ არსებულიყოს, არადა, ძველი ბერძნები და ლამის იმ საუკუნეების ცივილური ერები ამ აკადემიას დიდებით მოიხსენიებდნენ.

ჩემი მეგრული ოდისეა

სამწუხაროდ, ეს არ ახალია. სამეგრელოს მიმართ ასეთი უგულისყურობა, როგორღაც ამ კუთხის მიჭირხვნა, თვალის არიდება შორიდან მოდის!..

აქვე არ შეიძლება დიდი აკაკის ერთი მოგონება არ გავახმიანო. საქართველოს ბულბული წერდა: **„ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ მეგრელები ქართველები არ ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენა არისო, ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. ამტკიცეს!.. ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არ ვართო?.. მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლელობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობაო და სხვანი!.. მაგრამ იმავე დროს, ნუთუ საერთოდ ქართველები არ ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ დედაენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნეების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდითო!.. დაუცაცხანეს იმ ახირებულ ფილოსოფოსს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ.**

მეგრელების შორს-მჭვრეტელობამ და წინ-დახედულებამ კუდი აღარ მოაქნევია უჯერობასა და უსამართლობას“.

ჯერ კიდევ ყმაწვილს ჩემი სიჭაბუკის გარიჟრაჟზე, დედაქალაქში ჩამოსულს, იმხანად ერთი ფრიად მოარული ანეკდოტი მაჯახეს – „წიფის გვირაბი ღომით რომ გამოტენო, მეგრელები მაინც გამოჭამენ და გამოვლენო“.

ბარემ, ჩემს მეგრელობაზე აქვე ვიტყვი, მამაჩემი ქართლში, დიდი გომარეთის ერთადერთი სკოლის დირექტორი იყო, როდესაც მე ენას ვიდგამდი: ბიძაც იქვე პედაგოგობდა და ბიცოლაც იქიდან მყავდა – აფაქიძის ქალი... ასე რომ, როცა სამეგრელოში, მშობლიურ სოფელში დავბრუნდით და სკოლაში რომ მიმიყვანეს, მეგრული ერთი ღერიც არ ვიცოდი...

ეს ისე, კალამი გამექცა...

რუსთავში, საერთო საცხოვრებელში დავიდე ბინა.

– აი მეგრელი გვაკლდა და... – ჩემი ოთახის თანამობინადრენი ვითომ ხუმრობით შემხვდნენ. არადა, რუსთავის, და არა მარტო რუსთავის, „ამიერკავკასიის რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში“ უმეგრელოდ როგორ იქნებოდა, პირველი ქართული ფოლადის სათავეებთან ვაჟკაცურად იდგნენ გიორგი სიგუა, ამირან ფანცულაია, შემდეგ ხუთი წელიწადი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვაჟა გიგიბერია... დურუ ძაგანია... იმ ხუთიათასკაციან საფიხვნოში, რუსთავის ინდუსტრიის კერა რომ ააგუგუნეს, საქართველოს ყველა კუთხის შვილები, მათ შორის აფხაზეთიდანაც მრავლად იყვნენ.

სამწუხაროდ, სიყმაწვილიდან ადევნებული მეგრელობის „სენი“ არც შემდეგში მომცილდა. ერთხელაც, მე და ჩემი მეგობრები თბილისში, რუსთაველზე ვსეირნობდით, რუსთაველის თეატრთან ჩემი ძმაკაცი შეჩერდა, აფიშას თვალი გაადევნა და ახარხარებული მეძახის:

– აქ მოდი, ნახეო...

„ადამიანებო, იყავით ფხიზლად! – დიდი აფიშა ფერებში იუწყებოდა სპექტაკლის პრემიერას. ჰოდა, იქვე ვიღაცას შავი ნახშირით მიუწერია: „მეგრელები მოდიან“.

ვითომ უწყინარი ხუმრობა იყო... გული კი მეტკინა...

* * *

მეტალურგის პროფესია მალე ჟურნალისტის კალამმა შემაცვლევინა.

იმხანად საქართველოს ერთადერთი ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რუსთავის ზონის კორესპონდენტობა ვიტვირთე, თითქმის მეოთხედი საუკუნე ვზიდე ეს ჭაპანი. ეს ჩემი ცხოვრების მართლაც საამაყო წლები იყო.

მაგრამ ამ დიდ ოჯახში, ტელე-რადიოში, სადაც იმ ხანად რამდენიმე ათასი ადამიანი იღვწოდა, შიგადაშიგ იქაც წამომაძახებდნენ, იქნებ იმადაც, მეგრული კილო დღემდე თან რომ მდევს.

არადა, მე ეს მეამაყება.

თუმცა ამით არ დამთავრებულა ჩემი „მეგრული ოდისეა“.

რადიოთი ხშირად გადავცემდი რუსთაველ მშრომელთა მიღწევა-წარმატებებზე. მერე რადიოთი გადაცემული ნარკვევები ხან – ჟურნალ „დროშაში“, ხანაც – „საქართველოს ქალში“, „ცისკარსა“ და „მნათობში“ მიმქონდა და ვიბეჭდებოდი.

და აი, „საქართველოს ქალში“ ზედიზედ ჩემი ოთხი ნარკვევი დაიბეჭდა გონიერ და მოწინავე ქიმიკოს ქალებზე...

გამოქვეყნებული ნარკვევების გმირები, როგორღაც დაემთხვა და „მეგრელები“ იყვნენ – გოგონა გაგუა, ცისანა ჯიქია, თინათინ ჭანტურია, გალინა ქარჩავა... ერთხელაც, მორიგი ნარკვევით მივედი ჟურნალის რედაქციაში, ლიტერატურული განყოფილების გამგე აცრემლებული დამხვდა.

– რედაქტორი გამინაწყენდა, ვინაა ეს ჯახუა, ერთთავად მეგრელებზე რომ წერსო.

მე მას კი დავუმტკიცე, რომ იმათგან სამი ქალბატონი არ იყო მეგრელი. გაგუა და ჭანტურია გურიიდან იყვნენ, ცისანა ჯიქია იმერეთიდან.

მორიგი ნარკვევიც, რაღაც სასწაულებრივად, გვარით მეგრელზე იყო, მაშინ რუსთავის „ქიმიური ბოჭკოს“ ქარხანაში ხუთიათასამდე ადამიანი მუშაობდა, მათ შორის დიდი უმრავლესობა ქალები იყვნენ. მათი წარმატება ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო აღიარებული.

რაკი იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი, გამორჩეული ჟურნალი „მნათობი“ ვახსენე, იქაურობასაც მოვიგონებ, ჩემმა მოთხრობამ „ცხენი თუ მოგიპარავს“ სენსაცია გამოიწვია, იგი სხვა მოთხრობებთან ერთად ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორს, მართლაც შესანიშნავ პიროვნებას გიორგი ნატროშვილს მოვუტანე, მასთან კაბინეტში დიდი კონსტანტინე გამსახურდია იჯდა. ის გამუდმებით ეწეოდა, ბატონი გიორგი კი კითხულობდა ჩემს ნაწერს, თან მოწონების ნიშნად შიგადაშიგ შესძახებდა: ვაჰ, ჩემო გივი, ეს რა კარგი რამ დაგიწერია, ყოჩაღ!..

– „ცხენიპარიების“ გვარი უნდა შევცვალოთ, ისე ვერ დაგიბეჭდავო. – თავაწეულმა შემომხედა.

მოთხრობის ძარღვი ჩვენს კუთხეში მოარული ამბავი იყო, ცხენის ქურდებად დანელიები იყვნენ აღიარებული და ამას შორეული ფესვები ჰქონდა.

– დანელიებს მეფის ტოლად მოაქვთ თავი, მეცნიერები, მწერლები, მაღალი თანამდებობის პირებიც არიან და ცხენის ქურდებად მათი აღიარება არ გამოვა, ასე არ არის ბატონო კონსტანტინეო.

კონსტანტინეც დაეთანხმა.

მე კი ჯიუტად არ შევცვალე გვარები და ეს მოთხრობა უკან წამოვიღე, დანარჩენი ხუთი თუ ექვსი უმალ დამიბეჭდა.

მოთხრობა ჟურნალ „დროშის“ რედაქტორს ხუტა ბერულავას მივუტანე, იმანაც ძალიან მომიწონა, ოღონდ დანელია უნდა შევცვალოთო და იქვე გადანათლა, არადა, დანელიების გვარი ცხენის ქურდებად იყო აღიარებული და მოთხრობას ამადაც ძალიან უხდებოდა.

და კიდევ ერთი „იუმორისტული“ ამბავი:

ანზორ შონია, რუსთავის ამაგდარი, საპატიო რუსთაველი, ინჟინერი და ისტორიკოსი, რუსთავის ქალაქკომის ვესტიბიულში შემხვდა, როგორც ყოველთვის თბილ საუბარში გავერთეთ და მაშინდელი პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლუდვიგ ხარბედია შემოგვესწრო, მას ძალიან მოსწონდა ანზორის ანეკდოტები და გავერთეთ, სად იყო და სად არა, ცნობილი ჟურნალისტი რევაზ ზაქარაია მოგვიახლოვდა.

– აუჰ, – შესძახა ლუდვიგმა, – ახლა კი დავიშალეთ, თორემ ამდენ მეგრელს ერთად რომ დაგვინახავენ, ყველას დაგვიჭერენო.

ნეტარხსენებული ლუდვიგ ხარბედია დიდი იუმორის კაცი იყო, ამავე დროს ქალაქს თავისი ხელიც დაატყო და მისი ნამოღვაწარი დღესაც თვალსაჩინოა.

რაკი ლუდვიგი ვახსენე, აქვე არ შემიძლია, არ მოვიგონო რუსთავის ის გამორჩეული თავკაცები, ჩემი ქალაქი რომ კიდევ უფრო დაამშვენეს. მათ შორის პირველი კაპიტონ ქირია იყო, ისიც ყოფილი მეტალურგი; ბავშვივით ალალი, ნამეტალურგალი, ალექსანდრე (საშა) უბირია და სხვები.

არადა, ყოველივე ეს ხუმრობა იყო თითქოს, მაგრამ ხომ არის ნათქვამი – ისეთ ხუმრობას რა ვუთხარიო...



სტალინის ცხოვრების მიმწუხრისას აგორებულ „მეგრელთა საქმეს“ ნუღა მოვიგონებთ...

ისე კი, დღესაც მიკვირს, რატომ იყო საქართველოში მეგრელებზე ასეთი გართულება?!

გივი ჯახუა,
რუსთავის საპატიო მოქალაქე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
მსოფლიო მწერალთა ასოციაციის წევრი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის „ახოები“ წარმოების სპეციფიკაცია

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ა(ა)იპ – „კარდენახის ღვინო“ მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადების მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ახოები

განაცხადის №3490/6

განაცხადის შეტანის თარიღი: 2019 29 07

ადგილწარმოშობის დასახელება: „ახოები“

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია: ღვინო

განმცხადებლის სახელი და მისამართი: ა(ა)იპ – „კარდენახის ღვინო“, სოფელი კარდენახი, მე-15 შესახვევი, №10, გურჯაანის რაიონი, საქართველო

1. დასახელება: „ახოები“

2. დამატებითი აღნიშვნები:

3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები

„ახოები“ წითელი მშრალი ღვინოა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი - მუქი წითელი;
- არომატი და გემო (უხადო, გემოზე სავსე, ექსტრაქტული, ხავერდოვანი, ჰარმონიული, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით, დავარგებისას უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი ხილის ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 12 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლს;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები

ახოების მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის რაიონის სოფ. კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი დაქანების დადაბლებულ 3-4^0 დახრილობის ექსპოზიციაზე, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 350-750 მ-ის სიმაღლეზე. მიკროზონა მოქცეულია კარდენახის მიკროზონის ფარგლებში.

ჩრდილო დასავლეთიდან მას ესაზღვრება ბაკურციხის ადმინისტრაციული საზღვარი, სამხრეთ აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მღვრიე ხევი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რკინიგზა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან ავტომაგისტრალი. ამავე მიკროზონას მიეკუთვნება ავტომაგისტრალის სამხრეთ-დასავლეთით, ბაკურციხის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ნაკვეთები, რომლებიც მოქცეულია საკადასტრო რუკის 51.14.63. კვარტლის საზღვრებში.

მიკროზონის საერთო ფართობი შეადგენს 345 ჰა-ს.

5. ვაზის ჯიშები

„ახოები“ წითელი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ახოების მიკროზონაში მოწეული საფერავის და/ან საფერავი ბუდეშურისებურის ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა

- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან – 2,5 მეტრამდე;
- ვაზთაშორის მანძილი რიგში – 0,8-1,5 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე – 60-90 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

- „ახოები“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს უნდა იყოს არანაკლებ 21%;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას, ხოლო ერთ ძირზე არ უნდა აღემატებოდეს 3 კგ-ს;

ღვინის გამოსავალი ერთი ტონა ყურძნიდან არ უნდა აღემატებოდეს 65 დალს;

ღვინის გამოსავალი ერთი ჰექტარი ვენახიდან არ უნდა აღემატებოდეს 650 დალს.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

„ახოების“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ახოების მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ კახეთის ზონის ფარგლებში, ხოლო ჩამოსხმა - კახეთის ზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან, ყურძნის გატანა ახოების მიკროზონიდან გადასამუშავებლად და ღვინის გატანა კახეთის მევენახეობის ზონიდან ჩამოსასხმელად დასაშვებია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

ღვინო „ახოები“ მზადდება დურდოს სრული ალკოჰოლური დუღილის გზით.

„ახოების“ სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

ნიადაგი. ნიადაგწარმომქმნელი ქანები დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის კარბონატული თიხნარ-თიხიანი და ქვაღორღიანი ნაფენებია. ნიადაგები, ძირითადად, თიხნარი და მსუბუქი თიხნარია. მისი მექანიკური შედგენილობა (ფიზიკური თიხის ფრაქცია, რომელიც <0,01 მმ) ფართო საზღვრებში ცვალებადობს და 20,0-დან 69,4%-მდეა.

ჰუმუსის შემცველობა საპლანტაჟო ფენებში 2,04-4,91%-ის ფარგლებშია. საერთო აზოტი, ძირითადად, დაბალი შემცველობით ხასიათდება – 0,067-0,128%.

ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა სახნავ ფენებში 5,00-13,89 მგ-მდე მერყეობს 100 გ ნიადაგში, ხსნადი ფოსფორის შემცველობა მაღალია და სახნავ ფენებში 3,0-29,0 მგ-ის ფარგლებშია 100 გ ნიადაგში.

გაცვლითი კალიუმი სახნავ ფენებში მაღალი შემცველობით ხასიათდება 28,0-90,4 მგ 100 გ ნიადაგში, კალციუმის კარბონატების შემცველობა ნიადაგების პროფილებში ფართო საზღვრებში ცვალებადობს, რომელიც ზემოდან ქვემოთ კანონზომიერად მატულობს და 2,0-დან 44,0 %-მდეა.

ნიადაგის არეს რეაქცია სუსტი და საშუალო ტუტეა – pH=7,2-8.

კლიმატი. ახოების მიკროზონა ხასიათდება ზომიერად ნოტიო კლიმატით, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით.

მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2154 საათს, სავეგეტაციო პერიოდში კი 1589 საათს უდრის.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12,5^{0}C.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი ახოების მიკროზონაში 770 მმ-ია, სავეგეტაციო პერიოდში – 585 მმ. ე.ი. წლიური რაოდენობიდან 76% სავეგეტაციო პერიოდში მოდის.

ატმოსფერული ნალექები სეზონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ყველაზე მეტი (32%) გაზაფხულ-ზაფხულში, შედარებით ნაკლები (23%) შემოდგომაზე და ზამთარში (13%) მოდის.

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 72% უდრის.

მიკროზონა მდებარეობს მაღალი ინტენსივობის სეტყვიან ზონაში. სეტყვიანი დღეების რიცხვი წელიწადში საშუალოდ 2,9 უდრის. წლის განმავლობაში სეტყვა ყველაზე მეტად მაის-ივნისში /2,1/ დღე მოდის.

ნიადაგის ზედაპირზე, რომელიც ნეშომპალა-კარბონატულია, საშუალო წლიური ტემპერატურა 15^{0}C უდრის. ივლის-აგვისტოში ნიადაგის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა ყველაზე მაღალია და 30^{0}C აღწევს.

ადამიანური ფაქტორი. საქართველოში ქვევრში კახური ტექნოლოგიით ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ამ ტრადიციას უწყვეტად დღემდე ინარჩუნებენ. ქართველი კაცი რვა ათასი წლის განმავლობაში ხვეწდა და აუმჯობესებდა ამ ღვინის დაყენების მეთოდებს. ასე რომ, ღვინის დაყენების კახური ტექნოლოგიის მთავარი შემომქმედი ქართველი ხალხია, რომელმაც არა მარტო შექმნა ეს უნიკალური წესი, არამედ, ხატოვნად რომ ვთქვათ, უბით გამოატარა და გადაარჩინა იმ ქარტეხილებს, რაც ამ პატარა ქვეყანამ გამოიარა ამ ხნის მანძილზე.

ქვევრში ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს იყო ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის აღიარების გვირგვინი, რომელმაც ახალი სტიმული მისცა ჩვენში ღვინის ამ მეთოდით დაყენებას და დასაბამი მისცა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მის დანერგვას.

„ღვინის დაყენების მეთოდმა, რომელიც კახურ მეთოდად იწოდება და ბევრად განსხვავდება ევროპული ტექნოლოგიისაგან, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს ქვეყანა წარსულშიც იყო ცნობილი თავისი მაღალხარისხოვანი ღვინოებით და მომავალშიც რჩება ამ პროგრესული მიმართულების შემომქმედად“, ამბობს ცნობილი იტალიელი მეღვინე და მეცნიერი ჯ. დალმასო.

ახოების მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, დამახასიათებელი კლიმატი ზომიერად თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, ყავისფერი, კარბონატული ნიადაგები, ვაზის ჯიშების კონკრეტულად ამ მიკროზონაში გამოვლენილი განსაკუთრებული თვისებები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „ახოების“ განსაკუთრებულ ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს და მაღალ რეპუტაციას.

11. ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები

დასახელება „ახოები“ და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო“ ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით – AKHOEBI
Protected Designation of Origin ან/და PDO
რუსული შრიფტით – АХОЕБИ
Защищенное наименование места происхождения

12. აღრიცხვა და შეტყობინება„ახოების“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ახოების“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი. შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.



დონალდ ტრამპი: გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველაზე დიდი თაღლითობაა მედიცინის ისტორიაში

„გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველაზე დიდი თაღლითობაა მედიცინის მთელი ისტორიის მანძილზე“, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რადიო „Sirius XM“-ის ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ვაქცინაცია უზარმაზარი ფულის გაკეთების საშუალებაა, ის ორგანიზმის იმუნიტეტს აქვეითებს და ამის შედეგად, ადამიანები ვირუსების მიმართ კიდევ უფრო დაუცველები ხდებიან. ტრამპმა ასევე განაცხადა, რომ გრიპის ვირუსის ვაქცინა თავად არასოდეს გაუკეთებია და თავს მშვენივრად გრძნობს. ის ასევე ამბობს, რომ გრიპის ბოლო ვაქცინა „სრულიად არაეფექტურია“ ამ დაავადების მიმართ და ის ადამიანისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავს.

ისევ კორონავირუსის შესახებ...

გამოძვეძნდა ახალი კვლევა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, თუ რამდენი ხანი შეიძლება გაძლოს საგნებზე ამა თუ იმ ვირუსმა, მათ შორის კორონავირუსმა. როგორც ირკვევა, კორონავირუსი სხვადასხვა ზედაპირზე 9 დღე ცოცხლობს. ინფორმაციას ერთ-ერთი სამეცნიერო ჟურნალი აქვეყნებს.

კვლევის მიხედვით, კორონავირუსს შეუძლია იცოცხლოს ისეთ ზედაპირებზე, როგორებიცაა შუშა, პლასტმასი ან ლითონი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საშუალოდ, კორონავირუსს შეუძლია ოთხიდან ხუთი დღის განმავლობაში იცოცხლოს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანის სხეულისგან დამოუკიდებლად 9 დღე ცოცხლობს ოთახის ტემპერატურაზე.

დაავადებისა და პრევენციის ცენტრის მეცნიერების ინფორმაციით, კორონავირუსი ადამიანებს შორის ვრცელდება შემდეგი გზებიდან:

ჰაერწვეთოვანი გზით, როცა ადამიანი ახველებს ან აცემინებს;
ფიზიკური შეხებით. ასევე, ინფიცირებულ ადამიანთან ხელის ჩამორთმევით;
იმ საგნებთან შეხებით, რომლის ზედაპირზეც შესაძლოა იყოს ვირუსი.

შეგახსენებთ, ჩინეთი ახალ, კორონავირუსს ებრძვის. ამ მომენტისთვის კორონავირუსმა 28 ქვეყანაში შეაღწია და ათასამდე ადამიანია დაღუპული.

ავსტრალიას წვიმა თუ უშველის...

ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძლიერმა წვიმამ ტყის ხანძარი ჩააქრო და წყალდიდობა გამოიწვია. წვიმამ ჩააქრო ხანძარი, რომელიც ახალი სამხრეთ უელსის შტატში 74 დღის წინ გაჩნდა და უკვე ქალაქ სიდნეის მიუახლოვდა. ამ დროის განმავლობაში ხანძრის შედეგად 500 ათასი ჰექტარი დაიწვა.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე უხვი ნალექი მოვიდა. წყალდიდობის გამო შტატის ხელისუფლებამ 6 სამაშველო ოპერაცია ჩაატარა. ტყის ხანძრები ავსტრალიაში სექტემბრიდან მძვინვარებს. სტიქიას სულ ცოტა 33 ადამიანი ემსხვერპლა.

„კიარა“ ევროპას უტევს

ბრიტანეთში შტორმი „კიარა“ მძვინვარებს. ქარის სიჩქარე საათში 145 კილომეტრს აღწევს. რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო გადადებულია რამდენიმე რეისი,

მათ შორის ჰითროუსა და გეთვიკის აეროპორტებში; შეზღუდულია სარკინიგზო მიმოსვლა. ქვეყნის მაშტაბით წყალდიდობის 200-ზე მეტი გაფრთხილება გასცეს.

უამინდობის გამო გადაიდო რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის სპორტულიც. 118 ათასი ადამიანი ამ დრომდე ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ამსტერდამში, სხიპჰოლის აეროპორტში შტორმ „კიარას“ გამო 240 რეისია გადადებული.

ნიდერლანდებში ქარის სიჩქარე საათში 120 კილომეტრს აღწევს. რამდენიმე რეგიონში ძლიერმა ქარმა ხეები მოგლიჯა და სახლები დააზიანა. ანალოგიური მდგომარეობაა გერმანიაშიც. შტორმის გამო „ევროვინგსმა“ თითქმის ყველა რეისი გადადო. მიუნხენის აეროპორტიდან თითქმის ყველა რეისი გადადო ავიაკომპანია „ლუფთანზამ“.

წინასწარი მონაცემებით გამარჯვებულია „ახალი აზერბაიჯანი“

აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მაზახირ პანახოვის განცხადებით, მმართველი პარტია „ახალი აზერბაიჯანი“ პარლამენტში (მილი მეჯლისი) 65 მანდატს მიიღებს, ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს. ამ დროისათვის მონაცემების 87%-ია დამუშავებული. ეგზიტპოლის პროგნოზებით, „ახალი აზერბაიჯანი“ 125 მანდატიდან 69-ს მიიღებს, 41 ადგილი კი დამოუკიდებელ კანდიდატებს შორის გადანაწილდება. არჩევნების პროცესს აზერბაიჯანში 883 დამკვირვებელი აკვირდებოდა – აქედან 59 საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი.

◎ ჩოგბურთი

ზედა ეშელონში აღზევდნენ

ფედერაციის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის 8 გუნდი იბრძოდა ჰელსინკიში პირველი ეშელონის 2 საგზურისთვის.

A ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა (მარიამ ბოლქვაძე (ერთეულებში - 162-ე, წყვილებში – 392-ე), ეკატერინე გორგოძე (205-ე, 136-ე), მარიამ დალაქიშვილი (805-ე, 856-ე), ზოზია ქარდავა (1065-ე, 1284-ე), ოქსანა კალაშნიკოვა (წყვილებში 57-ე), კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ზედიზედ აჯობა ისრაელის (2:1), მოლდოვისა (3:0) და ტუნისის (2:1) გუნდებს, პლეი ოფში კი ფინელებს (ორნს ორპანა (479-ე, 518-ე), ანასტასია კულიკოვა (526-ე, 603-ე), ლაურა ჰიეტარანტა (ურეიტინგო), ელა ჰაავისტო (ურეიტინგო), კაპიტანი ემა ლაინე) მოუგო 2:1. ეკატერინე გორგოძეს რეიტინგში მასზე 321 საფეხურით დაბლა მდგომმა ანასტასია კულიკოვამ სძლია – 6:2, 6:4, მარიამ ბოლქვაძემ ორნს ოპრანა დაჯაბნა – 7:5, 6:4, ხოლო წყვილებში ეკატერინე გორგოძემ ოქსანა კალაშნიკოვასთან ერთად ანასტასია კულიკოვას და ლაურა ჰიეტარანტას დუეტს დაუყრევინა ფარ-ხმალი – 6:4, 6:3. საბოლოოდ ჩვენი ნაკრები, დანიის ნაკრების მსგავსად (ტუნისს აჯობა 2:1), პირველ ევროაფრიკულ ზონას დაუბრუნდა.

მესამე ზონაში ჩამოქვეითდნენ პორტუგალია და მოლდოვა, რომლებიც ისრაელსა და ეგვიპტესთან დამარცხდნენ.

თამაზ პატარიძე

◎ რაგბი

საპრემიოდ ლელო არ ეყოთ

რაგბი ევროპის 2020 წლის გათამაშებაში საქართველოს ნაკრებმა ლევან მაისაშვილის ხელმძღვანელობით ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა – ჩვენმა გუნდმა მადრიდში ესპანეთის ნაკრებს სძლია.

სტუმრებმა პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს – პაექრობის დასაწყისიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და შალვა მამუკაშვილმა ლელოთი გახსნა ანგარიში, თუმცა, პირენეელებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. ამის შემდეგ შესვენებამდე შეხვედრა ქართველთა კარნახით წარიმართა და პირველი ტაიმის მიწურულისთვის „ბორჯღალოსნები“ 18 ქულით (თავი ლელოთი ისევ მამუკაშვილმა და თოდუამ გამოიჩინეს, აბჟანდაძემ ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა) დაწინაურდნენ – 23:5.

მეორე ტაიმში ორთაბრძოლის სცენარი შეიცვალა – მასპინძლები უტევდნენ, ქართველები თავს იცავდნენ და თითქმის საფინალო სასტვენამდე ანგარიში უცვლელი იყო. მატჩის ბოლო წუთზე დელ ჰოიომ შეძლო სხვაობის შემცირება. საქართველოს ნაკრებმა 23:10 გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში ოთხი ქულა ჩაიწერა – საპრემიო ქულისთვის ერთი ლელო არ ეყო.

მომდევნო მატჩს ჩვენი მორაგბეები 22 თებერვალს ქუთაისში გამართავენ – ბელგიის ნაკრებს უმასპინძლებენ.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

პაიჭაძემ ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 79-ე ეროვნულ ჩემპიონატში (საპრიზო ფონდი 29.500 ლარი) სხვადასხვა რეგიონის 16 წარმომადგენელი ასპარეზობდა ოლიმპიური სისტემით. სამეტაპიანი პაექრობების შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეყნის 2009 წლის ჩემპიონი თორნიკე სანიკიძე და 2017 წლის პირველობის გამარჯვებული ლუკა პაიჭაძე. ორი კლასიკური პარტიისგან შემდგარ გადამწყვეტ მინი-მატჩში პაიჭაძემ 1.5:0.5 გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. მესამე ადგილი კონსტანტინე შანავამ დაიკავა, რომელმაც ასეთივე ანგარიშით ლევან ფანცულაიას სძლია. პირველ-მესამე ადგილებზე გასული პაიჭაძე, სანიკიძე და შანავა ევროპის 2020 წლის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის დაფინანსებით გაემგზავრებიან.

გივი გაგუა

მსოფლიოს ექვსი ქვეყნის 10 საუკეთესო მოჭადრაკე ქალი მონაწილეობს სენტ ლუისის (აშშ) საჭადრაკო კლუბის ელიტარულ ტურნირ Cairns Cup-ში, რომლის საპრიზო ფონდია 180.000 ამერიკული დოლარი (გამარჯვებული 45.000 დოლარით დაჯილდოვდება). საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ცზიული ვენძიუნი (ჩინეთი, 2583), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2580), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2552), ევროპის ორგზის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2552), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2518), ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2515), მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2504), ევროპის ჩემპიონატების სამგზის გამარჯვებული ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2461), ირინა კრუში (აშშ, 2422), კარისა იიპი (აშშ, 2412). უკვე გაიმართა სამი ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათს შედეგებს:

I ტური. ნანა ძაგნიძე – ვალენტინა გუნინა 1:0, მარია მუზიჩუკი – ცზუი ვენძიუნი – 0.5:0.5, ჰამპი კონერუ – კარისა იიპი 1:0, კატერინა ლაგნო – ჰარიკა დრონავალი 0.5:0.5, ალექსანდრა კოსტენიუკი – ირინა კრუში 0.5:0.5.

II ტური. ვენძიუნი – კრუში 0.5:0.5, გუნინა – კოსტენიუკი 0:1, დრონავალი - ძაგნიძე 0.5:0.5, იიპი - ლაგნო 0:1, მუზიჩუკი – კონერუ 1:0.

III ტური. ლაგნო – მუზიჩუკი 0.5:0.5, კოსტენიუკი – დრონავალი 0:1, ძაგნიძე - იიპი 1:0, კონერუ – ვენძიუნი 0.5:0.5, კრუში – გუნინა 0:1.

სამი ტურის შემდეგ: ძაგნიძე – 2.5, მუზიჩუკი, ლაგნო, დრონავალი – 2-2, ვენძიუნი, კონერუ, კოსტენიუკი – 1.5-1.5, კრუში, გუნინა – 1-1, იიპი - 0 ქულა.

დღეს მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

ძაგნიძე სათავეში მოექცა

◎ ძიუდო

ვარლამის „ვერცხლი“

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ გრან პრიზე საქართველოს ნაკრებს ერთადერთი მედალი ვარლამ ლიპარტელიანმა მოუტანა.

100 კგ წონით კატეგორიაში ქართველი ძიუდოსტი ვერცხლის ჯილდოს დაეუფლა. ფინალში „ჯვაროსანთა“ კაპიტანი ისრაელის წარმომადგენელ პეტერ პალტიჩს დაუპირისპირდა, აქტიურობდა კიდეც, მაგრამ ოქროს ქულისთვის ბრძოლაში სახიფათო ილეთის გამო გააფრთხილეს, რაც ავტომატურად მარცხს ნიშნავდა.

ლიპარტელიანი C ჯგუფში ასპარეზობდა, სადაც პირველ წრეში თავისუფალი იყო. ქართველმა ძიუდოისტმა თავდაპირველად სამხრეთ კორეელი ჯაე იუნ კიმი დაამარცხა, ამას მონტენეგროელ დანილო პანტელიჩთან გამარჯვება მოჰყვა, ნახევარფინალში გადასასვლელი დაპირისპირება კი ვარლამმა ლატვიელ იევგენის ბოროდავკოს მოუგო.

ნახევარფინალში ჩვენებურმა რუსი მეტოქე არმან ადამიანი დაჯაბნა და ფინალში ასპარეზობის უფლება ამ გზით მოიპოვა. სამწუხაროდ, გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენებური დამარცხდა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერცხლის მედალს დასჯერდა.

+100 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალთან ახლოს იყო გელა ზაალიშვილი. ქართველმა ძიუდოისტმა აზერბაიჯანელი შაჰინ გაჰრამანოვი, ბრაზილიელი დავიდ მოურა და უზბეკი ბეკმუროდ ოლტიბოევი დაამარცხა. თუმცა, ჯერ ნახევარფინალში ჰოლანდიელ ჰენკ გროლთან, ხოლო მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუს ინალ ტასოევთან იპონით დამარცხდა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა პარიზის გრან-პრიზე ერთადერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა, რომელიც ლიპარტელიანის ანგარიშზეა.

კობა კობახიძე

◎ ოლიმპიზმი

ესტაფეტას ქალი დაიწყებს

ისტორიაში პირველად ტოკიოს თამაშების ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნე პირველ ეტაპზე ქალი იქნება. ამ პატივს ტყვიის სროლაში რიოს ოლიმპიადის ბერძენ ჩემპიონსა (25 მ) და ბრინჯაოს მედალოსან (10 მ) ანა კორაკაკის მიაგებენ.

საწყისი მონაკვეთის გარბენის შემდეგ იგი ჩირაღდანს ქალთა მარათონში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, იაპონელ **მიზუკი ნოგუჩის** გადასცემს. თავის მხრივ, ნოგუჩი იქნება პირველი იაპონელი, ვინც 2020 წლის თამაშებისთვის განკუთვნილი ოლიმპიური ცეცხლით გაირბენს.

2020 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ცეცხლის დანთების ცერემონია 12 მარტს ანტიკურ ოლიმპიაში გაიმართება. საბერძნეთში 8-დღიანი მოგზაურობის შემდეგ, ცეცხლს 20 მარტს საგანგებო რეისით იაპონიაში ჩააფრენენ. ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა 121 დღეს გაგრძელდება და იაპონიის ყველა 47 პრეფექტურას ეწვევა. ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა 24 ივლისს ტოკიოში, ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე დასრულდება.

გეჟან დოლიძე

არდავიწყება

ციალა გვიმრაძე-გრძელიშვილი

ორმოცი ტკივილიანი დღე მიილია, რაც საყვარელ ოჯახს, ძვირფას მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, ახლობლებს განეშორა უერთგულესი დედა, ბებია, სანათესაოს მოამაგე ქალბატონი ციალა გვიმრაძე-გრძელიშვილი.

თვითონაც დიდი ოჯახის შვილი, კარგ ტრადიციებზე აღზრდილი, ასევე სიყვარულით, სისათუთით, ერთგულებით იყო გამორჩეული. თავისი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, მან დიდი რუდუნებით აღზარდა ორი ღირსეული ვაჟკაცი, ასევე შვილიშვილთა და შვილთაშვილის სიმრავლით ხარობდა და ამაყობდა, ყურადღებას არ აკლებდა ნათესავ-მეგობრებს, ამიტომაც იყო დიდი ხალხმრავლობა მასთან გამოთხოვების დღეს.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, ქალბატონი ციალას ამქვეყნიური განშორება მაინც მოულოდნელი იყო. ვერ წარმოვიდგენდით, ეს სიცოცხლით, ღიმილით და სიკეთით სავსე ქალბატონი თუ ასე სწრაფად გამოგვეცლებოდა ხელიდან...

მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო, განუმეორებელო და კდემამოსილო დედავ, მეუღლევ, ბებოვ და დიდი ოჯახის ოქროსხელება დიასახლისო!..

მარად დარჩები ჩვენს ხსოვნაში!

ვალერიან გრძელიშვილი ოჯახით

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს ადგილობრივი მნიშვნელობის ძეძილეთი-გორდი-ნოღის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტს (შემდგომში - პროექტი). პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე პავლე ჩიხლაძის (პ/ნ 60001016070) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ:

1. ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელ გაღმა ნოღაში მდებარე 2190 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 37.02.32.210) ნაწილი - 1147 კვ.მ და მასზე განთავსებული ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები;

2. ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელ გორდში მდებარე 3810 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 37.02.32.017) ნაწილი - 39 კვ.მ, მასზე განთავსებული ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები;

3. ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელ გორდში მდებარე 1616 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 37.02.32.236) ნაწილი — 58 კვ.მ. და მასზე განთავსებული ნაგებობა (ღობე) (შემდგომში — საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე პავლე ჩიხლაძესთან (პ/ნ 60001016070) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში — კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 28 იანვრის №1-1/43 ბრძანებით (შემდგომში — ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პავლე ჩიხლაძის (პ/ნ 60001016070) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე პავლე ჩიხლაძის (პ/ნ 60001016070) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

სანთელი

მეუღლე თინათინ ქართველიშვილი, შვილი დავითი, რძლები ეკა ხომერიკი, ნატო კაპანაძე, შვილიშვილები სანდრო, თიკა, ირაკლი, ლიზი იზორიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ იზორია.

უახლოესი მეგობრები გივი აბდუშელიშვილი, კლიმენტი ჯანჯღავა, ბონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ვალერი ჭანტურია, დემიკო ლოლაძე, ელდარ ფხაკაძე, ზურაბ მაჩაიძე, ზურაბ გეგეჭკორი, ლერი ჭითანავა, გივი სოსელია, ზურაბ გოგოხია, კახა არდია, ჯემალ კვირტია, ზურაბ პაპასკირი, ოთო ჭითანავა, ჯამბულ წულაია, ავთო ბესელია, გრიშა შონია, მურმან ნაჭყებია, ზურაბ აბშილავა, ოთარ ჭითანავა გულისტკივილით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უკეთილშობილესი პიროვნება, მეგობრობაში გამორჩეული, საქმისადმი ერთგული, სიკეთისა და სიყვარულის მატარებელი ადამიანი

ნუგზარ იზორია

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სანათესაოს.

ხსოვნა

ბადრი ხატიძე, ვლადიმირ ალელიშვილი, ნუგზარ ანთელავა, დავით აბაშიძე, რამაზ ჟღენტი, ვალერი იოსავა, ზურაბ დევდარიანი, თამაზ შილაკაძე, ენზელ მკოიანი, იური უნანიანი, ვან ბაიბურთი, არმენ ბაიანდურიანი, ალექსანდრე მოვსესიანი, გივი შულაროვი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ახალქალაქის რაიონის ყოფილი გამგებელი

სერგეი ტიგრანის ძე დარბინიანი

დაკრძალვა 13 II, 13 სთ. ახალქალაქი, ბორის ლომსაძის ქ. №77.

ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე დაკავებულებმა ბრალი აღიარეს!

ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე ბრალდებული კუდ-ის ყოფილი თანამშრომლების საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. საქალაქო სასამართლოში კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესზე დღეს მხარეებმა შესავალი სიტყვა წარმოთქვეს. ორმა ბრალდებულმა, დავით ქოქიაშვილმა და ილია გამგებელმა ბრალი აღიარეს.

დღევანდელ პროცესს არ ესწრებოდა მესამე ბრალდებული ლევან ქარდავა, რომელიც წარდგენილ ბრალს არ აღიარებს. მისი უფლებადამცველი მამხილებელ მტკიცებულებებს ეჭვქვეშ აყენებს და ამბობს, რომ საქმეში არსებული მასალები ქარდავას ბრალეულობას არ ადასტურებს. უფლებადამცველს იმედი აქვს, რომ სასამართლო მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბრალდებას, პროკურორის თქმით, მტკიცებულებებით სამივე ბრალდებულის ბრალეულობა დასტურდება. ჯერჯერობით უცნობია, გაფორმდება თუ არა საპროცესო შეთანხმება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ბრალდებულებს 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

გამოძიების ვერსიით, ურეკში მდებარე ბადრი პატარკაციშვილის საცხოვრებელ სახლზე თავდასხმა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა 2006 წელს დაგეგმა, რაც მიზნად ისახავდა სახლის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლებით ბადრი პატარკაციშვილის დაშინებას. ურეკის პოლიციის იმჟამინდელ უფროსს ჯემალ შამათავას კი ბადრი პატარკაციშვილის სახლიდან მორიგე პოლიციელების განეიტრალება დაევალა. უარის შემდეგ კი ბრალდებულებმა მისი უკანონოდ დაკავების გეგმა განახორციელეს და შამათავას 9-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს.

2018 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმესთან დაკავშირებით ფარული ჩანაწერები გაავრცელა. ჩანაწერების მიხედვით, კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას გეგმავენ, მათ შორის, ცდილობენ, ბიზნესმენის დაცვის წევრის გადაბირებას.

ამ საქმის ფარგლებში, ლევან ქარდავას, რევაზ შიუკაშვილსა და გიორგი მერებაშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მომზადებას ედავებიან. ამასთან, ჩანაწერების თანახმად, პატარკაციშვილის ლიკვიდაცია მიხეილ სააკაშვილის მიერ იყო სანქცირებული.

განცხადება

მიმდინარე წლის 10 მარტს 14:00 საათზე ქ. თელავში, დავითაშვილის №17-ში დანიშნულია კოოპერატივ „რკ ალაზნის ველის“ წევრთა საერთო კრება.

თბილისის ანძა კვლავ ინვესტორის მოლოდინშია

დაახლოებით წელიწადნახევრის წინ სატელევიზიო ანძის რეკონსტრუქციის დაწყებისთვის თბილისის მერიამ ინვესტორის მოძიება დაიწყო. მცდელობა უშედეგო გამოდგა, რადგან გამოცხადებული ტენდერი ერთხელ უკვე ჩაიშალა და თბილისის ანძა ბოლო წელიწადნახევარია რეკონსტრუქციის მოლოდინშია, ერთ თვეში ახალი და კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგმება.

პროექტს, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, მერიაში იმედოვნებენ, რომ საქმე ინვესტორს გადაეცემა და პროექტის მიხედვით დაიწყებს ანძის რეკონსტრუქციას, ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბრისას თბილისის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელმა **ანდრია ბასილაიამ** განაცხადა.

პროექტში, რომლის განსახორციელებლადაც 8 მლნ ევროა საჭირო, მერიაში არ გამორიცხავენ, რომ თანადაფინანსებაში ისევ მიიღებენ მონაწილეობას და, შესაბამისად, პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხა.

ანდრია ბასილაია არ გამორიცხავს, რომ მერიამ დეტალური პროექტირება შევუკვეთოს და ამით შეამსუბუქოს პროექტი.

ანდრია ბასილაიას თქმით, თავის დროზე ანძის რეკონსტრუქციაზე გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა ერთხელ უკვე ჩაიშალა. მიზეზი გახლდათ ის, რომ არცერთი კერძო ინვესტორი პროექტით არ დაინტერესებულა, ამიტომ შემდეგ მერიაში ალტერნატიულ თანადაფინანსებასაც განიხილავენ.

თბილისის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელმა თბილისის ანძის პროექტზე ისაუბრა და განმარტა, თუ რა სამუშაოები შესრულდება და როგორი სახე ექნება დასრულებულ ანძას.

„ანძაზე მოეწყობა როგორც რესტორანი და ქალაქზე გადმოსახედი ბაქანი, ასევე მულტიფუნქციური სივრცე, ფართები წვეულებების ან ღონისძიებების მოსაწყობად, თუმცა ეს ჯერ იდეის დონეზეა და განვიხილავთ. ანძა არის სტრატეგიული ობიექტი და, რა თქმა უნდა, მისი ძირითადი ფუნქცია აუცილებლად შენარჩუნდება“, — ამბობს ანდრია ბასილაია.

ნათია ლომიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

პირველად „ოსკარების“ ისტორიაში...

ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს **„ოსკარების“ 2020 წლის გამარჯვებულების ვინაობა ცნობილია.**

წლის საუკეთესო ფილმის კატეგორიაში ისტორიაში პირველად უცხოენოვანმა ფილმმა გაიმარჯვა. საუკეთესო კინოსურათის ჯილდო სამხრეთ კორეულმა ფილმმა „პარაზიტმა“ მოიპოვა. „პარაზიტმა“ ასევე გაიმარჯვა საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის, საუკეთესო ორიგინალური სცენარის და საუკეთესო რეჟისურის კატეგორიებში. რეჟისურისთვის ჯილდო ბონგ ჯუნ-ჰოს ერგო.

„ამერიკის ხმა“ გთავაზობთ გამარჯვებულების სიას მთავარ კატეგორიებში.

საუკეთესო ფილმი: **„პარაზიტი“**

ტოდ ფილიფსის ფილმი „ჯოკერი“ 11 კატეგორიაში იყო ნომინირებული. ხოაკინ ფენიქსმა, რომელიც ფილში მთავარ როლს ასრულებს, საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ჯილდო მოიპოვა.

საუკეთესო ქალი მსახიობი კი გახდა **რენე ზელვეგერი („ჯუდი“)**

საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი: **„პარაზიტი“ — სამხრეთ კორეა.**

წელს მამაკაცის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის ისეთი მსახიობები იბრძოდნენ, როგორიცაა **ბრედ პიტი** („ერთხელ ჰოლივუდში“), **ალ პაჩინო** („ირლანდიელი“), **ენტონი ჰოპკინსი** („ორი პაპი“), **ტომ ჰენკსი** („ლამაზი დღე სამეზობლოში“) და **ჯო პეში** („ირლანდიელი“). ამ კატეგორიაში ჯილდო ბრეტ პიტმა მოიპოვა.

ქალის მეორეხარისხოვანი როლის კატეგორიაში **ლაურა დერნმა** გაიმარჯვა ფილმისთვის „ქორწინების ისტორია“.

საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ჯილდო კი „ამერიკულ ქარხანას“ ხვდა წილად. ფილმის რეჟისორები **ჯულია რეიჩერტი** და **სტივ ბოგნარი** იყვნენ. მათი ფილმი ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას და მისი მეუღლის მიშელ ობამას საპროდიუსერო კომპანიის დახმარებით იქნა გადაღებული.

„ოსკარების“ 92-ე დაჯილდოება 9 თებერვალს ლოს-ანჯელესში გაიმართა.

ლეგენდარული მულტფილმი იუბილარია

ლეგენდარულ მულტფილმს **„ტომი და ჯერი“ 80 წელი შეუსრულდა. მულტფილმის პირველი სერია 1940 წლის 10 თებერვალს გამოვიდა.**

მულტფილმი კომპანია Metro-Goldwyn-Mayer-ის ანიმაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უილ ჰანამ და ჯო ბარბერამ შექმნეს და თავდაპირველად მას Puss Gets the Boot, კატას — ჯასპერი, თაგვს კი ჯინქსი ერქვა.

როდესაც 1955 წელს მულტფილმის პროდიუსერმა ფრედ ქუიმბიმ სტუდია MGM-ი დატოვა, ანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ჰანას და ბარბერას დაავალეს. ფინანსური პრობლემების გამო 1957 წელს MGM-მა ანიმაციის დეპარტამენტი გაუქმა, ჰანამ და ბარბერამ კი თავიანთი კომპანია Hanna-Barbera დააფუძნეს.

1961 წელს MGM-მა მულტფილმის 13 ეპიზოდი ჩეხოსლოვაკიურ სტუდია RembrandtFilms-ს შეუკვეთა და თითოეულ ეპიზოდში 10 ათასი დოლარი გადაიხადა. 1963-1967 წლებში მულტფილმის 34 ეპიზოდი კომპანია Sib Tower 12 Productions გამოუშვა. 1975 წლიდან „ტომისა და ჯერის“ საავტორო უფლებები უილ ჰანამ და ჯო ბარბერამ დაიბრუნეს, 1986 წელს კი კომპანია Hanna-Barbera კინოკომპანია Warner Bros-ის შემადგენლობაში შევიდა.

საერთო ჯამში 80 წლის განმავლობაში „ტომი და ჯერის“ 164 ეპიზოდი გადაიღეს. მულტფილმმა საუკეთესო ანიმაციური მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის „ოსკარის“ 7 პრემია მოიგო.

პორნოვარსკვლავები მოდის ჩვენებებზე

პორნოვარსკვლავები მაღალი მოდის ჩვენებებზე ნიუ-იორკში ქალთა უფლებების დასაცავად პირველად გამოვლენ.

პორნოვარსკვლავები ბერლინის ბრენდის Namilia-ს ჩვენებაში მიიღებენ მონაწილეობას. ბრენდის შემქმნელებმა ნანლიმ და ემილია პლოფიმ კოლექციას Herotica უწოდეს და ჩვენებაზე სპეციალური მონაწილეები მიიწვიეს, რათა ქალთა უფლებებზე განაცხადონ.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8629; ევრო - 3.1354;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7009;
100 რუბლი - 4.4852; თურქული ლირა - 0.4780;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6821;
1000 სომხური დრამი - 5.9771.

ამინდი 11 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-13,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-19,	დღე	0
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-18,	დღე	5
თბილისი:	ღამე	-8,	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge